www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი 18 სექტემბერი, 2009 წელი. №202 (2240) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

რუსეთი ჩავესს ომის გაჩაღებაში ეხმარება
A7



სცენაზეა ნანი ბრეგვაძე
A11



ქეცბაია - „კლუბში", ზიკო - „ოლიმპიაკოსში"
A13



# დათმობა რიტორიკის დონეზე

## ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა კავკასიისკენ მოიწევს

*ვაშინგტონის უარმა პოლონეთსა და ჩეხეთში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განლაგებაზე, მთელ მსოფლიოში ცალსახა შეფასება მიიღო - ეს გახდა დათმობა რუსეთისთვის. თუმცა, აშშ თავს დაუცველად არ დაიტოვებს და მეტიც - ახალი ანტისარაკეტო სისტემის განალაგებას კავკასიის მახლობლადაც გეგმავს. ჯერჯერობით უცნობია ახალი გეგმის დეტალები, გრეთვე -, ენიჭება თუ არა რაიმე მნიშვნელობა საქართველოს ამერიკის ახალ თავდაცვით სისტემაში. ქართველი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ აშშ-ს გადაწყვეტილება და რუსეთთან მისი ურთიერთობის გაუმჯობესება საქართველოს საფრთხეში არ ჩააგდებს და შესაძლოა" ქვეყნის უსაფრთხოებაზე დადებითადაც აისახოს.*

დიმიტრი ავალიანი

აშშ-ს ახალი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა არა ჩეხეთსა და პოლონეთში, არამედ **"კავკასიასთან ახლოს"** განლაგდება. ამის შესახებ გუშინ აშშ-ს თავდაცვის მინისტრ რობერტ გეითსთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე აშშ-ს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის თავმჯდომარის მოადგილემ ჯემის კარტრაითმა განაცხადა.

შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ გუშინ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ევროპაში მასშტაბური ანტისარაკეტო ფარის აგების გეგმებზე უარს ამბობს.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ახალკაცი გადადგა. ვინ იქნება ახალი კაცი?

მიხეილ აბაიშვილი



ხმები ნოდარ ახალკაცის მოახლოებული გადადგომის თაობაზე გამართლდა: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტი 17 სექტემბრიდან ვაკანტურია და 1 ოქტომბრამდე ასეთად დარჩება.

"საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარე შესარჩევი ციკლი ძალზე სუსტად ჩაატარა. ტურნირი უკვე დასასრულს უახლოვდება, საქართველოს ნაკრებს კი ჯერ ერთი მატჩიც არ მოუგია. ვიცი, რომ ქართველი გულშემატკივრისთვის ნაკრების ასეთი სუსტი გამოსვლა მეტად მტკივნეულია, წარუმატებლობებში ჩემს წილ პასუხისმგებლობას ვგრძნობ, რის გამოც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტზე დარჩენას შეუძლებლად მივიჩნევ," - საკუთარ გადადგომასთან დაკავშირებით ასეთი კომენტარი გააკეთა ნოდარ ახალკაცმა გუშინ მოწყობილ საგანგებო პრესკონფერენციაზე, რომელიც ფეხბურთის ფედერაციის ოფისში 15 საათზე დაიწყო და ხუთიოდე წუთს გასტანა.

აწ უკვე ფედერაციის ყოფილმა პრეზიდენტმა მედიის მიერ ავტომატის ჯერივით მიყრილი შეკითხვებიდან არც ერთს არ უპასუხა, მადლობა გადაგვიხადა და სწრაფად დატოვა ჯერ საკონფერენციო ოთახი, შემდეგ - ფედერაცია და, როგორც შევიტყვე, თბილისი და საქართველო: ფედერაციის ოფისიდან ახალკაცი პირდაპირ აეროპორტში გაემგზავრა, საიდანაც თბილისი-სტამბულის რეისით ევროპას მიაშურა. რით იყო მოტივირებული ასეთი ელვისებური სისწრაფით სამშობლოს დატოვების სურვილი, არ ვიცი და ამის გარკვევა თქვენი ფანტაზიისთვის მიმინდვია. ფაქტი კი ერთია:

გაგრძელება A13 გვერდზე

# თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, ანუ ისტორია ახალი

სოფო კილასონია

14 საგასტროლო წარმოდგენა თბილისში, დასები ჩამოდიან არაერთი ქვეყნიდან. წარმოდგენების გარდა გაიმართება ვორკშოპები, მასტერკლასები... საინტერესოა ასევე ქართული პროგრამა: ლევან წულაძის მივიწყებული და სანახავად მუდამ სასურველი "ფაუსტი", თემურ ჩხეიძის მონატრებული "ზღვა, რომელიც შორია", ახალ თაობაზე დამყარებული იმედების კოლექცია - "სხვისი შვილები", "ბიდერმანი და ცეცხლის წამკიდებელნი", ანუ პრემიერა რუსთაველში, ის რომლის ლოდინით გადავიქანცეთ და ა.შ.

გაგრძელება A9 გვერდზე




24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

## სოფელი ძირკოკი დენის გარეშე დარჩენილი

ძლიერმა წვიმამ გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ძირკოკის მოსახლეობა დააზარალა. სტიქიის შედეგად დენის საუბნო გამანაწილებელი რამდენიმე სადგური დაიწვა და მოსახლეობის დიდი ნაწილი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. გურჯაანში კი კოტეხის უბანში მეხმა ტელეფონისა და ინტერნეტის ხაზები დააზიანა.

*სპექტრი*

## დიმიტრი შაშკინი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს შეხვდა

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი დიმიტრი შაშკინი, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს ე.წ. უდო-ს კომისიის დაკომპლექტების საკითხის გამო შეხვდა. როგორც შეხვედრის შემდეგ მინისტრმა განაცხადა, არასამთავრობო ორგანიზაციებს შესთავაზა ე.წ. უდო-ს კომისიაში წარმომადგენელი თავად შეარჩიონ. შაშკინის განცხადებით, შემდეგი კვირის პარასკევს ცნობილი გახდება, ვინ იქნება კომისიაში არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი. დიმიტრი შაშკინის თქმით, ვადაზე ადრე პირობითი გათავისუფლების, ე.წ. უდო-ს კომისიის პირველი სხდომა ახალი შემადგენლობით 30-31 სექტემბერს ჩატარდება და კომისია 100-ზე მეტი პატიმრის საქმეს განიხილავს. მისივე თქმით, აღნიშნული კომისიის სხდომა ყოველი თვის ბოლოს ჩატარდება. კომისიის თავმჯდომარედ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა თავისი მოადგილე ლევან ზარანდია დანიშნა. კომისიაში სამინისტროს 6 წარმომადგენელი ეყოლება, რომელთა ვინაობა ჯერ ცნობილი არ არის. ცნობილია მხოლოდ კომისიაში პარლამენტის კვოტით წარდგენილი დეპუტატების ვინაობა - პარლამენტმა უმრავლესობიდან გია არსენიშვილის, უმცირესობიდან კი დიმიტრი ლორთქიფანიძის კანდიდატურები დაამტკიცა.

"პატიმრობის შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე შეიცვალა როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი კომისიის არსებობის ადგილი და ფორმატი, ასევე კომისიაში შემავალ პირთა წრე.

კერძოდ, პარლამენტის მიერ მიღებული კანონის მიხედვით, კომისიაში 9 წევრი შევა. აქედან 6 სამინისტროს წარმომადგენელი იქნება. დარჩენილ სამ ადგილს პარლამენტის უმრავლესობის, მის გარეთ მყოფი დეპუტატების და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები როტაციის პრინციპით დაიკავებენ. ისინი შეცვლას სამ თვეში ერთხელ დაექვემდებარებიან.

აღნიშნული კანონი ძალაში მიმდინარე წლის 1-ელ სექტემბერს შევიდა.

*ინტერპრესნიუსი*

## ლევან ვარშალომიძე ევროპის რეგიონთა ასამბლეის ბიუროს სხდომას დაესწრება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე ოფიციალური ვიზიტით შვედეთის ქალაქ გოტებორგში გაემგზავრა, სადაც 17-18 სექტემბერს ევროპის რეგიონთა ასამბლეის (ერა-ს) ბიუროს სხდომას დაესწრება. სხდომა შვედეთის ვასტრა-გოტალანდ რეგიონის მთავრობის მოწვევით ტარდება, სადაც ერა-ს სხვადასხვა კომიტეტების მიერ გასულ პერიოდში შესრულებული სამუშაოებს განიხილავენ. ერა-ს მიმდინარე და დაგეგმილი პროგრამების შესახებ მოხსენებებს გააკეთებენ ერა-ს პრეზიდენტი და გენერალური მდივანი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამას და მის ფარგლებში მიმდინარე შავი ზღვის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის პროექტს. სხდომის დროს გაიმართება დისკუსიები ევროკავშირის ახალ ინიციატივაზე მაკრო-რეგიონების შესახებ, კლიმატის ცვლილების პრობლემატიკაზე, განათლებისა და ახალგაზრდული ქსელის საკითხებზე. ბიურო ასევე იმსჯელებს ევროპის რეგიონთა ასამბლეის 2010 წლის ბიუჯეტზეც. ბიურო წარმოადგენს ერა-ს მმართველობით ორგანოს, რომლის შეხვედრები წელიწადში ორჯერ იმართება. ეს არის ერა-ს ბიუროს მეორე სხდომა, რომლის მუშაობაშიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მონაწილეობს. იგი 2008 წლიდან არჩეულია ბიუროს წევრად.

*ინტერპრესნიუსი*

# რუსეთის აკრძალვა

## საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთ-აზერბაიჯანის სახმელეთო საზღვარი დაიხურა

დათო გამისონია

*გუშინ რუსეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე საქართველოს მოქალაქეების მიმოსვლა აიკრძალა. გადაწყვეტილება რუსეთის ფედერაციისგან მომდინარეობს. რუსეთმა საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ 1999 წელს მიღებული დადგენილება აამოქმედა. გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ აზერბაიჯანის სახმელეთო საზღვრიდან საქართველოს მოქალაქეებს რუსეთის ფედერაციაში შესვლა ეკრძალებათ.*

რუსეთის ხელისუფლება ახალი გადაწყვეტილების მიღების მიზეზად დსთ-დან საქართველოს გამოსვლას ასახელებს, რადგან რუსეთის მთავრობის 1999 წლის 5 ნოემბრის №1223 დადგენილებით, დსთ-ს არაწევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისთვის შეზღუდვები დაუწესდათ. ეს იმიტომ, რომ აღკვეთილიყო ჩრდილოეთ კავკასიის ზოლში უცხოური ტერორისტული ორგანიზაციების წევრთა შესვლა, ასევე იარაღისა და დივერსიის საშუალებების შეტანა. დადგენილების მიხედვით, აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან სახმელეთო გზით რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა ნებადართულია მხოლოდ დსთ-ს წევრი ქვეყნების მოქალაქეებისთვის და მათი სატრანსპორტო საშუალებებისათვის. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, რადგან 2009 წლის 18 აგვისტოს საქართველომ ოფიციალურად დატოვა დსთ-ს სივრცე, საქართველოს მოქალაქეები ვერ ისარგებლებენ დადგენილებაში აღნიშნული პრივილეგიებით. კერძოდ, მათ ჩამოერთვათ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე შესვლის უფლება რუსეთ-აზერბაიჯანის სახმელეთო საზღვრის გავლით. გამოქვეყნებული აკრძალვა გავრცელდება იმ მოქალაქეებზეც, რომლებმაც საქართველოში შვეიცარიის საელჩოს რუსეთის ინტერესების სექციაში უკვე გააფორმეს რუსეთის ფედერაციის ვიზები. ყოველივე ამის მიუხედავად, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ **"გულწრფელად ვწუხვართ, ამ ქვეყნის მოქალაქეებისათვის წარმოქმნილი უხერხულობების გამო. განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს, რომ რუსეთის მხარეს არ შემოუღია და არც შემოიღებს სპეციალურ შეზღუდვებს. ამ შემთხვევაში საუბარია ერთ გარდაუვალ სამართლებრივ შედეგზე, რომელიც დსთ-დან საქართველოს გამოსვლას მოჰყვა."**

რუსეთის გადაწყვეტილების შემდეგ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა განცხადება, სადაც გაკრიტიკებულია საქართველოს მოქალაქეებისთვის დაწესებული შეზღუდვები: **"საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული მრავალსაუკუნოვანი კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ" რუსული მხარის მიერ გაკეთებული მრავალი განცხადების ფონზე, რუსეთის ფედერაციის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება აშკარად საპირისპიროს მეტყველებს."** საგარეო-პოლიტიკური უწყების განცხადებით, საქართველო არ აპირებს რუსეთის მოქალაქეების მიმართ იმავე ზომების მიღებას: **"როგორც ცნობილია, რუსეთის მოქალაქეებს შეეძლოთ და შეუძლიათ შემოვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე ლეგიტიმური საკონტროლო-გამშვები პუნქტების გავლით, ყოველგვარი დაბრკოლებისა და ხელოვნური სირთულეების გარეშე. როდესაც მოსკოვში გამოთქვამენ გულისწყრომას იმის გამო, რომ რუსული ენის გავრცელების არეალი სულ უფრო მცირდება, მიზანშეწონილია, ამის მიზეზი საკუთარ თავში და ქმედებებში ეძიონ."**

აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ აზერბაიჯანის ხელისუფლებას თავისი პოზიცია ჯერჯერობით არ გამოუხატავს. "24 საათი" დაუკავშირდა აზერბაიჯანში საქართველოს საელჩოს წარმომადგენელ ზურაბ ბალავაძეს. მისი თქმით, **"ოფიციალურად ინფორმაცია არ მიგვიღია, რადგან აზერბაიჯანი ყოველგვარი გართულების გარეშე საზღვარზე ისედაც ატარებს საქართველოს მოქალაქეებს."** თუმცა, საქართველოს ხელისუფლებისთვის უცნობია, აზერბაიჯანში გადასვლის შემდეგ, საქართველოს რამდენი მოქალაქე სარგებლობდა რუსეთ-აზერბაიჯანის სახმელეთო საზღვრით.

მას შემდეგ, რაც საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დსთ-დან გამოსვლის შესახებ განცხადება გააკეთა, საქართველომ დსთ-ს წევრი ქვეყნების სხვადასხვა უწყებებთან ინდივიდუალური ხელშეკრულებები გააფორმა. ამ შემთხვევაში რუსეთის ხელისუფლების პოზიციის გამო საქართველოს მოქალაქეების გადაადგილების საკითხი ღიად დარჩა. "24 საათი" ესაუბრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ნალბანდოვს. მისი თქმით, **"საქართველოს დსთ-დან გამოსვლის შემდეგ საუბარი იყო სხვადასხვა ხელშეკრულებების გაფორმებაზე. მაგრამ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს დისკრეციული უფლება (რაც რუსეთმა გამოიყენა), რომ ამა თუ იმ ქვეყანასთან საზღვრის გადაკვეთის რეჟიმი დააწესოს."** მინისტრის მოადგილის თქმით, ჯერჯერობით ნაადრევია საუბარი იმ ნაბიჯების შესახებ, რომელთა გადადგმასაც საქართველო აპირებს.

# უსაფრთხოების ორი სტანდარტი ჟენევაში

ნათია მსხილაძე

*ხანგრძლივი მოლაპარაკებების შედეგად გადაწყდა, რომ კავკასიის უსაფრთხოების საკითხებზე საერთაშორისო კონსულტაციების მორიგი რაუნდი ჟენევაში 11 ნოემბერს გაიმართება. შეხვედრაში მონაწილე მხარეებმა ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოების ახალი სისტემისა და ცეცხლის განუახლებლობის შესახებ საკუთარი ხევდა ევროკავშირის, გაერო-სა და ეუთო-ს წარმომადგენლებმა გააცნეს. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებული ასპექტები ქართულ დოკუმენტში მოცემულს დაემთხვა.*

კავკასიის უსაფრთხოების საკითხების საერთაშორისო კონსულტაციების მე-7 რაუნდში, ქართულ, რუსულ და მარიონეტული რეჟიმის მხარეებთან ერთად, გაერო-ს, ეუთო-სა და ევროკავშირის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ჟენევაში გამართულ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქართული მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ამ ტერიტორიებზე საერთაშორისო დამკვირვებლების დაშვების საკითხი დააყენა. ქართულმა მხარემ ასევე მოითხოვა გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის შესაბამისად დევნილთა დაბრუნების გრაფიკი შემუშავება.

განსახილველი საკითხები მომზადებული ჰქონდა აფხაზეთის სეპარატისტულ დელეგაციასაც. მათ, რუსებთან ერთად, გემების დაკავების საკითხი დააყენეს. უცვლელი მოტივით იყო ჩასული ჟენევაში ოსეთის დელეგაციაც. ბორის ჩოჩიევის განცხადებით, მათთვის პრიორიტეტულია ცეცხლის განუახლებლობის შესახებ შეთანხმების გაფორმება.

ჟენევის მოლაპარაკებებზე თავიანთი ხედვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმაც წარმოადგინეს. "ოკუპირებული ტერიტორიების დემილიტარიზაცია, საპოლიციო ძალების განლაგება და ინციდენტების პრევენცია," - გაერო-ს, ეუთო-სა და ევროკავშირის წარმომადგენლების მიერ დასახელებული ეს ასპექტები ქართული დელეგაციის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში მოცემულს დაემთხვა, რასაც რუსული და სეპარატისტული მხარეების ნეგატიური რეაქცია მოჰყვა. აქედან გამომდინარე, მხარეები შეთანხმდნენ, რომ მომდევნო თვენახევრის განმავლობაში უცხოელი დამკვირვებლები ახალ ცვლილებებსა და დამატებებს შეიტანენ, რათა დოკუმენტი სამივე მხარისთვის მისაღები იყოს. განახლებულ დოკუმენტს საერთაშორისო ორგანიზაციები 11 ნოემბერს წარმოადგენენ. "უსაფრთხოების პროექტები წარმოადგინა როგორც ქართულმა, ასევე რუსულმა მხარემაც, თუმცა დასავლელი თანათავმჯდომარეების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი ქართულს დაემთხვა, რამაც რუსული მხარის გაღიზიანება და მათ მიერ დოკუმენტის დაბლოკვა გამოიწვია. მოლაპარაკებების მომდევნო რაუნდი 11 ნოემბერს გაიმართება, მანამდე კი მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეები უსაფრთხოების ახალ, უფრო დაზუსტებულ ჩარჩო-დოკუმენტზე იმუშავებენ, რათა ის ყველა მხარისთვის მისაღები იყოს,"

- აღნიშნა საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ გიგა ბოკერიამ.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინის განცხადებით კი, რუსული მხარე განახლებულ დოკუმენტს დაელოდება. მისი თქმით, "რუსეთის მთავარი მიზანია კონფლიქტურ რეგიონებში სტაბილურობის შექმნა." კარასინმა მედიასთან საუბრისას კიდევ ერთი საინტერესო მინიშნება გააკეთა: მომავალში რუსეთმა, შეიძლება, დაიწყოს მუშაობა სამხრეთ კავკასიაში ეუთო-სა და გაერო-ს სადამკვირვებლო მისიების აღდგენის მიმართულებითაც. "იყო დატვირთული და მწვავე დისკუსია, რადგან საუბარი შეეხებოდა უსაფრთხოებას და უშუალოდ კონფლიქტის ზონაში არსებულ ვითარებას. პოლიტიკა არც ისე მარტივია, ამიტომ გადაწყვეტილებების მიღება დიდ დროსა და ძალისხმევას საჭიროებს," - აღნიშნა კარასინმა.

"მოლაპარაკებებზე განხილული იყო საკითხების ორი ტიპი. ერთი ეხებოდა ჰუმანიტარულ საკითხებს, ხოლო მეორე - უსაფრთხოების მექანიზმების შემუშავებას. თუმცა, მომავალში უფრო დეტალური დისკუსია გაიმართება," - აღნიშნა საქართველოს კრიზისის საკითხებში ევროკავშირის წარმომადგენელმა პიერ მორელიმ.

"მართალია, ერთ-ერთ მთავარ განსახილველ თემას რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენდა, თუმცა მე აქცენტს ჰუმანიტარულ საკითხზე გავაკეთებ. გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ მხარეებს შორის არ მიმდინარეობს ინფორმაციის გაცვლა, ასევე რეგიონში მუდმივად ირღვევა საერთაშორისო ნორმები. მომავალში შევეცდებით, რომ მხარეებს დაახლოებაში დავეხმაროთ," - განაცხადა გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა იოჰან ვერბეკემ.

ოს სეპარატისტთა ხელისუფლების წარმომადგენელ ბორის ჩოჩიევის განცხადებით, დასავლელი თანათავმჯდომრეების მიერ ძალის გამოუყენებლობის შესახებ წარმოდგენილ დოკუმენტს რუსული ბანაკი 99 პროცენტით არ დაეთანხმა. "შევთანხმდით, რომ დასავლელი თანათავმჯდომარეები სოხუმში, თბილისსა და ცხინვალში ჩამოვლენ."

ჟენევის დახურულ შეხვედრაზე ქართული მხარის გაღიზიანება გადამდგარ გენერალ მარად კულახმეტოვის გამოჩენამ გამოიწვია. აგვისტოს ომის შემდეგ პირველად გამოჩენილ გენერალს რუსულ-ქართული ომის რუსული ვერსიის შესახებ უნდა ესაუბრა, თუმცა, როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ გაირკვა, გენერალს შეხვედრაზე პოზიცია არ დაუფიქსირებია.

გადამდგარმა რუსმა გენერალმა ქართველი ჟურნალისტების შეკითხვებიც უპასუხოდ დატოვა, თუმცა მოლაპარაკებებში მისი სტატუსი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგოლ კარასინმა განმარტა. "გენერალი კულახმეტოვი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მრჩეველია. კულახმეტოვი ომის დროს რუსეთის სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელი იყო და მისი მონაწილეობა სასარგებლოა, რადგან მას ბევრი ინფორმაცია აქვს. იგი ამიერიდან ყველა შეხვედრაში მიიღებს მონაწილეობას," -განუცხადა ჟენევაში ჟურნალისტებს კარასინმა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მჰპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ქალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალაიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# დათმობა რიტორიკის დონეზე

პირველი გვერდიდან

როგორც გუშინ რობერტ გეითსმა განმარტა, ირანის მხრიდან საფრთხის შეფასება შეიცვალა. ვაშინგტონი შექმნის თავდაცვის სისტემას მცირე რადიუსის რაკეტების წინააღმდეგ. შესაბამისად, ჩეხეთში რადარის განთავსებისა და პოლონეთში გადამჭერი რაკეტების განლაგების გეგმები ვაშინტონმა გადადო.

სამაგიეროდ, აშშ განიხილავს სამხრეთ და ჩრდილოეთ ევროპაში საზღვაო ბაზირების გადამჭერთა განლაგების შესაძლებლობას, რაც ირანისა და სხვა საფრთხეებისგან უფრო საიმედო დაცვას უზრუნველყოფს. ამასთან, გეითსმა 2015 წლამდე ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის განლაგება არ გამორიცხა.

როგორც, თავის მხრივ, სააგენტო "როიტერს" პენტაგონიდან ინკოგნიტო წყარომ აცნობა, ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის ნაცვლად, აშშ "ეშელონირებული თავდაცვის" სისტემას შექმნის.

თავის მხრივ, აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გუშინ განაცხადა, რომ მოიწონა თავდაცვის მდივნის და გენერალიტეტის ერთსულოვანი რეკომენდაციები ევროპაში თავდაცვის სისტემების შესახებ, რაც **"ამერიკის თავდაცვის სისტემას გააძლიერებს."**

რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის თავდაპირველი გეგმის გამო რუსეთის უკმაყოფილებას კი ობამამ **"სრულიად უსაფუძვლო"** უწოდა. მისი თქმით, იგი ირანის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსეთთან თანამშრომლობას კვლავაც მიესალმება.

აშშ-ს შესაძლო გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია პირველად გაზეთმა "უოლ სთრით ჯორნელმა" გამოქვეყნა. გუშინ კი ჩეხეთის მედიამ გაავრცელა ცნობა ბარაკ ობამასა და ჩეხეთის პრემიერ-მინისტრ იან ფიშერის სატელეფონო საუბრის შესახებ, რომლის დროსაც აშშ-ს პრეზიდენტმა ჩეხეთის პრემიერს რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შექმნის გეგმების გაუქმების შესახებ აუწყა. მოგვიანებით ფიშერმა ეს ცნობა დაადასტურა.

ამ ინფორმაციის გავრცელება ვარშავაში აშშ-სა და პოლონეთის სამხედრო თანამშრომლობის შესახებ მიმდინარე დახურულ მოლაპარაკებებს დაემთხვა. მოლაპარაკებებში მონაწილე ოფიციალურ პირებს კომენტარი არ გაუკეთებიათ, თუმცა პოლონეთის ხელისუფლებაში წყაროებმა ვაშინგტონის გადაწყვეტილებას **"კატასტროფა"** უწოდეს.

უცხოური მედიის გუშინდელი შეფასებებით, ასეთი გადაწყვეტილება ვაშინგტონმა რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით მიიღო.

**"რაკეტსაწინააღმდეგო სისტემაზე ხელის აღება უზარმაზარი ცვლილებაა,** - აღნიშნა "ბი ბი სი"-მ, - **რუსულ-ამერიკული ურთიერთობები, სავარაუდოდ, უფრო გამარტივდება და რუსები გადაწყვეტილებით ნასიამოვნები დარჩებიან."**

**"რუსები აცხადებდნენ, რომ სისტემა მათ უსაფრთხოებას ზიანს მოუტანდა, თუმცა ამერიკა ასე არ ფიქრობდა. ამერიკელთა აზრით, ასეთი განცხადებები რუსებს მარტივ საბაბს აძლევდა, რათა ისინი შეძლებისდაგვარად ახლო მეზობლების საქმეებში ადვილად ჩარეულიყვნენ",** - არნიშნავს "ბი-ბი-სი".

ახლა კი, ავტორის აზრით, რუსებს შეუძლიათ **"გამარჯვებულებად იგრძნონ თავი და იფიქრონ, რომ ხისტი პოლიტიკის წყალობით მათმა მოთხოვნამ მათივე სასარგებლო შედეგი გამოიღო."**

ობამა დილემის წინაშე დადგა - ან დაეყოვნებინა რუსეთთან ურთიერთობების გამოსწორების ეტაპობრივი პროგრესი, ან იმედი გაეცრუებინა ნატო-ში ორი ცენტრალური მოკავშირისთვის - ჩეხეთისა და პოლონეთისთვის, - აღნიშნავს, თავის მხრივ, "ასოშეიტედ პრესი".

ავტორი წერს, რომ ობამა თავიდანვე **"არ იყო დიდი ენთუზიაზმით განწყობილი ამ გეგმის განხორციელების მიმართ."** მისი ბოლო გადაწყვეტილება კი რუსეთთან დაახლოების მცდელობას ნიშნავს.

რუსეთში ვაშინგტონის გადაწყვეტილებას აღფრთოვანებით შეხვდნენ.

**"რუსეთი აფასებს აშშ-ს პრეზიდენტის პასუხისმგებლობით ნაკარნახევ მიდგომას და მზად არის, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების თემაზე ვაშინგტონთან დიალოგი გააგრძელოს,"**- განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა.

როგორც მან აღნიშნა, ეს თემა აშშ-ს პრეზიდენტთან მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე განიხილა. **"ჩვენ შევთანხმდით, რომ რუსეთი და აშშ მსოფლიოში რაკეტების გავრცელების შემთხვევაში რისკის შეფასებების მიმართულებით ერთობლივად იმუშავებენ."** მედვედევის შეფასებით, ვაშინგტონში გაკეთებული განცხადება ასეთი მუშაობისთვის **"კარგ პირობებს ქმნის."**

**"ეს არის გარღვევა რუსეთ-ამერიკის ურთიერთობაში. რაც უფრო ნაკლებია გამაღიზიანებელი ფაქტორი, მით უფრო მეტი ყურადღება ეთმობა მართლა მნიშვნელოვან საკითხებს,"** - ასეთი შეფასება გააკეთა ნატო-ში რუსეთის ელჩმა დიმიტრი როგოზინმა.

იმ მოსაზრებას, რომ აშშ-ს გადაწყვეტილება, პირველ რიგში, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარებას ემსახურება, ქართველი ექსპერტებიც ეთანხმებიან. **"არ მგონია, რომ ირანის მხრიდან საფრთხე მართლა შემცირდა. როგორც ჩანს, აქ რუსეთთან დიალოგის სურვილის გავლენას აქვს ადგილი,"** - განაცხადა "24 საათთან" საუბრისას საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ექსპერტმა არჩილ გეგეშიძემ.

მის თქმით, არსებობს მიმართულებები, სადაც რუსეთთან თანამშრომლობა აშშ-სთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ეს არის ავღანეთი, ირანი, ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა და ტერორიზმთან ბრძოლა.

თუმცა, ექსპერტის აზრით, მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს უსაფრთხოებაზე უარყოფითად არ აისახება, **"მაგრამ, აშშ საქართველოს უსაფრთხოების განმტკიცებისთვისაც ვერ გადადგამს რაიმე ნაბიჯებს."** გეგეშიძის აზრით, რუსეთსა და აშშ-ს შორის **"სტატუს კვო დაფიქსირებულია და იმედი ვიქონიოთ, რომ მომავალში ეს მდგომარეობა შეიცვლება და აშშ** (საქართველოს მიმართულებით) **უფრო გააქტიურდება".**

არჩილ გეგეშიძის თქმით, კავკასიასთან ახლოს ახალი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის განლაგების გეგმები დიდად არაფერს ცვლის. მისი აზრით, პოლონეთსა და ჩეხეთში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა აშშ-მ რუსეთის წინააღმდეგობის გამო არ განალაგა და საეჭვოა, საქართველოს ან რეგიონის სხვა ქვეყნის გამო მოსკოვთან კვლავ კონფრონტაციაში შევიდეს.

"24 საათთან" საუბრისას ექსპერტი ანდრო ბარნოვი აღნიშნავს, რომ ვაშინგტონის გადაწყვეტილება საქართველოს უსაფრთხოებაზე დადებითად აისახება. კერძოდ: **"პუტინის ფრაქციას ხელიდან ეცლება ის არგუმენტი, რომ ამერიკა მტერია და მასთან თანამშრომლობა შეუძლებელია."**

მართალია, პოლონეთში და ჩეხეთში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა აღარ განლაგდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აშშ თავს საფრთხეში ჩაიგდებს. აშშ ახალი სისტემების განლაგების სხვადასხვა გეგმებს განიხილავს, მათ შორის ბალკანეთში, ისრაელსა და თურქეთში, ასევე - საზღვაო პატრულირებას რაკეტებით აღჭურვილი ხომალდების საშუალებით. შესაბამისად, ექსპერტის აზრით, აშშ რუსეთთან **"მხოლოდ რიტორიკის დონეზე"** თმობს.

ამავე დროს, ბარნოვის თქმით, საქართველოს საკითხი აშშ-სა და რუსეთის უთანხმოებებს შორის პირველ ადგილზე იყო და რჩება. ხოლო რუსეთ-აშშ-ს შორის დაძაბულობის განმუხტვით

საქართველო **"დროს მოიგებს"** განვითარებისა და თავისი მდგომარეობის განმტკიცებისთვის.

ექსპერტი ვარაუდობს, რომ აშშ-ს ნაბიჯი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას ნამდვილად განმუხტავს, ვინაიდან **"მედვედევის ფრაქციას"**, რომლის დაპირისპირების ნიშნები **"პუტინის ფრქციასთან"**, ექსპერტის აზრით, უკვე გამოიკვეთა, აშშ-სთან დაპირისპირების გაგრძელება ხელს არ აძლევს.

აშშ-ს გუშინდელ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა, ერთი მხრივ, რუსეთის დემონსტრაციული დაახლოება ვენესუელის ანტიამერიკულ რეჟიმთან, რომელსაც კრემლი შეიარაღებას და "მშვიდობიანი ატომის" განვითარებასაც შეჰპირდა, მეორე მხრივ კი - აშშ-ს დაზვერვის მიერ რუსეთის მოხსენიება პოტენციურ მოწინააღმდეგეთა შორის. გარდა ამისა, "24 საათისთვის" ცნობილი გახდა, რომ რამდენიმე დღის წინ საქართველოს დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გელა ბეჟუაშვილი ვაშინგტონში აშშ-ს დაზვერვის ხელმძღვანელებს შეხვდა და ამ შეხვედრაზე რუსული აგრესიის შემდეგ დახმარებისა და თანამშრომლობის გზები განიხილეს.

# დაკავებულები გაათავისუფლეს

გუშინ გალის რაიონში დაკავებული მიკროავტობუსის მძღოლი და მგზავრი გაათავისუფლეს. აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველ ლევან თევზაიას განცხადებით, ეს ჯარიმის გადახდის შემდეგ მოხდა. "ორი მიკროავტობუსის მგზავრი და მძღოლი - სოტკილავა და ცანავა აფხაზებმა და რუსმა ოკუპანტებმა ე.წ. სასაზღვრო წესების დარღვევის გამო დააკავეს. ისინი გალში გადაიყვანეს და 500-500 დოლარით დააჯარიმეს," - განაცხადა ლევან თევზაიამ.

მისი თქმით, სოტკილავა და ცანავა გააფრთხილეს, რომ ე.წ. სასაზღვრო წესების განმეორებით დარღვევის შემთხვევაში, მათ მიმართ სასჯელი უფრო მკაცრი იქნება. თევზაიას ინფორმაციით, რუსი ოკუპანტები გალში უკანონოდ გადასვლის აღსაკვეთად შემოვლითი გზების დანაღმვას იწყებენ.

"რუსები ადმინისტრაციული საზღვარზე კონტროლის გაძლიერების მიზნით თანამედროვე ლაზერულ-მაკონტროლებელი აპარატურის დამონტაჟებას აპირებენ. ოკუპანტები შემოვლითი გზების დანაღმვასაც გეგმავენ და მოსახლეობას მიმოსვლისათვის მხოლოდ სამ გადასასვლელს უტოვებენ - ენგურის ხიდს, შამგონისა და საბერიოს გადასასვლელებს", - აღნიშნა აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველმა.

ცნობისათვის - სოფელ თაგილონში აფხაზმა შეიარაღებულმა პირებმა ადგილობრივი ქართველები 15 სექტემბერს დააკავეს. ისინი ორი მიკროავტობუსით გადადიოდნენ ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე. დაკავებულ ქართველებს რუსულ-აფხაზური პასპორტები მოსთხოვეს, თუმცა რამდენიმე მათგანს დოკუმენტი არ აღმოაჩნდა. ამის შემდეგ მათ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და გაძარცვეს, ხოლო მიკროავტობუსის მძღოლი გოგიტა სოტკილავა და მგზავრი შაქრო ცაავა დააკავეს და გალში გადაიყვანეს.

*საკუთარი ინფორმაცია*

## საქართველოსა და ლატვიას შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის მემურანდუმი გაფორმდა

საქართველოსა და ლატვიის ეკონომიკური განვითარების სამინისტროებს შორის ტურიზმის სფეროში თანამშრომლობის შესახებ მემურანდუმი გაფორმდა.

აღნიშნულ დოკუმენტს ლატვიაში პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის ვიზიტის ფარგლებში მოეწერა ხელი. ვიზიტის ფარგლებში, გილაური ეკონომიკური, სამეცნიერო, ტექნიკური და კულტურული თანამშრომლობის საკითხებში საქართველო-ლატვიის მთავრობათაშორისი კომისიის პირველი სესიის გახსნას დაესწრო. ასევე, საქართველო-ლატვიის ბიზნესფორუმშიც მიიღო მინაწილეობა.

გარდა ამისა, თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება გაფორმდა საქართველოს აკრედიტაციის ცენტრსა და ლატვიის სტანდარტიზაციის, აკრედიტაციისა და მეტეოროლოგიის ცენტრს შორის.

*პრაიმ-ნიუსი*

## საგარეჯოში ფერმერთა მომსახურების ცენტრი გაიხსნა

საგარეჯოში ათასწლეულის ფონდის აგრობიზნესის პროექტის ფარგლებში დაფინანსებული ფერმერთა მომსახურების ახალი ცენტრი გაიხსნა, - ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრი იუწყება. რეგიონის გუბერნატორ გიორგი ღვინიაშვილის განცხადებით, ფერმერთა მომსახურების ცენტრი ადგილობრივ ფერმერებს ვეტერინარული და მცენარეთა დაცვის საშუალებებით, მანქანა-დანადგარების მომსახურებით, ასევე მცირე დანადგარებით უზრუნველყოფს. ამავდროულად ფერმერებისთვის ტრენინგებიც გაიმართება და მათ შეეძლებათ კონსულტაციების მიღება.

ათასწლეულის ფონდის დაფინანსებით უკვე ფერმერთა მომსახურების 18 ცენტრია გახსნილი საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში.

როგორც ათასწლეულის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი აღნიშნავს, პროექტის ფარგლებში იგეგმება ფერმერთა მომსახურების 35-მდე ცენტრის დაფინანსება და ამით საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ფერმერთა ცენტრების ერთგვარი ქსელის შექმნა. კახეთის რეგიონისათვის ამ ეტაპზე ეს ფერმერთა მომსახურების მეხუთე ცენტრია.

*პრაიმ-ნიუსი*

## სიღნაღის რაიონული საავადმყოფოს დირექტორის წინააღმდეგ საქმე აღიძრა

სიღნაღის რაიონული საავადმყოფოს დირექტორ გოგი ნიკვაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. წნორის საოჯახო მედიცინის ცენტრის ექიმები ნიკვაშვილს ევროკავშირის პროგრამის ფარგლებში ცენტრისთვის გამოყოფილი სამედიცინო აპარატურისა და მასალების მითვისებაში ადანაშაულებენ, - ამის შესახებ ინფორმაციას კახეთის საინფორმაციო ცენტრი ავრცელებს.

გამოძიების დაწყების მოთხოვნით კახეთის საოლქო პროკურატურას "ადამიანის უფლებათა ცენტრმა" მიმართა. როგორც ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, "ევროკავშირის მიერ გამოყოფილი დაფინანსებით 2007 წელს სიღნაღის რაიონის ქალაქ წნორში საოჯახო მედიცინის ცენტრის შენობა გარემონტდა და ცენტრი ახალი სამედიცინო აპარატურითა და მასალებით აღიჭურვა. წნორის საოჯახო მედიცინის ცენტრი, რომლის მომსახურებაც ქალაქ წნორში მცხოვრებ 6 ათასზე მეტ ადამიანზე იყო გათვლილი, ორი წლის განმავლობაში არ ფუნქციონირებდა. მთავარი ექიმი გოგი ნიკვაშვილი ექიმებს ცენტრში შესვლის და მუშაობის უფლებას არ აძლევდა, რაც დადასტურებულია ექიმების წერილობითი ახსნა-განმარტებებით. ექიმების თქმით, ნიკვაშვილმა მათ არაერთხელ უთხრა, რომ შეობაში შესვლა თუ უნდოდათ, კარი გაეტეხათ და ისე შესულიყვნენ. ექიმები საოჯახო მედიცინის ცენტრის შენობაში, რამდენიმე დღის წინ სპეციალური კომისიის თანდასწრებით შევიდნენ. ძვირადღირებული სამედიცინო აპარატურა და სხვა სამედიცინო მასალები გატანილი აღმოჩნდა."

შპს "ჯანმრთელობას" დირექტორი გოგი ნიკვაშვილი წნორის საოჯახო მედიცინის ცენტრის გაქურდვას უარყოფს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მას შემდეგ, რაც აღნიშნული საქმით "ადამიანის უფლებათა ცენტრი" დაინტერესდა, ნიკვაშვილმა კარდიოგრაფიის აპარატი და გლუკომეტრი საოჯახო მედიცინის ცენტრს შპს "ჯანმრთელობის" ლაბორანტის მეშვეობით დაუბრუნა. სხვა ტექნიკა და მასალები ამ დრომდე არ ჩანს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ჟურნალი "სტილი" "არქიტექტურული პრემია 2009"-ს ატარებს

სოფო ჩიხლაძე

"არქიტექტურული პრემია 2009"-ის დაჯილდოება, ისევე როგორც გასულ წელს, ამჯერადაც თბილისობის დღესასწაულს დაემთხვევა. საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი უკვე ასამდე როგორც ქართველმა, ისე უცხოელმა არქიტექტორმა გააკეთა. თუმცა მათი რაოდენობა კიდევ გაიზრდება, რადგანაც კონკურსში მონაწილეობის ბოლო ვადა 5 ოქტომბერს იწურება.

არქიტექტურული კონკურსი, ჟურნალ "სტილის" ინიციატივით პირველად 2006 წელს ჩატარდა და მას შემდეგ ყოველწლიურად იმართება. პროექტმა პროფესიონალების, სამშენებლო თუ არქიტექტურული კომპანიების, საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის დიდი ინტერესი გამოიწვია. თავდაპირველად კონკურსში მონაწილეობას მხოლოდ ქართველი არქიტექტორები იღებდნენ, თუმცა დროთა განმავლობაში არქიტექტურულმა კონკურსმა საერთაშორისო მასშტაბები შეიძინა და მის მიმართ დიდ ინტერესს იჩენენ არა მარტო ქართველი, არამედ უცხოელი არქიტექტორებიც. უკვე 10 წელია გამოიცემა თავად ჟურნალი "სტილი", სადაც მკითხველს საშუალება აქვს წაიკითხოს სტატიები არქიტექტურაზე, დიზაინზე, ინტერიერის მოწყობაზე და, საერთოდ, ამ სფეროში არსებულ ყველა სიახლეზე.

პირველ წელს კონკურსი ოთხ ნომინაციაში ჩატარდა, შემდეგ მათი რაოდენობა ნელ-ნელა გაიზარდა და წელს არქიტექტურული კონკურსი 8 ნომინაციაში გაიმართება. ესენია: 1.ინდივიდუალური საცხოვრებელი შენობა; 2.საზოგადოებრივი შენობა; 3.მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ან კომპლექსი; 4.საცხოვრებელი სახლის ინტერიერი; 5.საზოგადოებრივი შენობის ინტერიერი; 6.რეკონსტრუქცია-რესტავრაცია; 7.საუკეთესო პროექტი და 8.საუკეთესო სტუდენტური პროექტი. არის კიდევ ერთი ნომინაცია - კონკურსგარეშე მონაწილეობა.

საკონკურსო ნამუშევრები ჟურნალ "სტილის" ვებგვერდზე იდება. ეს შესაძლებელია როგორც ჟურნალის თანამშრომელთა დახმარებით, ისე დამოუკიდებლადაც, კონკურსში მონაწილეობის მსურველს შეუძლია თავადვე დადოს საკუთარი საკონკურსო ნამუშევარი ვებგვერდზე: www.archi-competition.com.ge. აქ საკონკურსო ნამუშევრების განთავსება წინა კონკურსის დამთავრებისთანავე დაიწყო.

რაც შეეხება ჟიურის, აღსანიშნავია, რომ კონკურსს ორი სხვადასხვა ჟიური და ასევე საზოგადოება აფასებს. ჟიურის ერთი ნაწილი პროფესიონალებისგან არის დაკომპლექტებული, მათ შორის არიან უცხოელი არქიტექტორებიც, მეორე ნაწილი კი საზოგადოების ცნობილი წევრებისგან შედგება. გარდა ამისა, ნამუშევრების შეფასება ნებისმიერ ადამიანს შეუძლია. მათ შესაძლებლობა აქვთ, ჟურნალ "სტილის" ვებგვერდზე დადებულ ნებისმიერ საკონკურსო ნამუშევრს მისცენ ხმა და ჟიურის წევრები საზოგადოების აზრს გაითვალისწინებაენ. კონკურსში მონაწილეობის უფლება თავად ჟიურის წევრებსაც აქვთ, მაგრამ ისინი საკუთარ საკონკურსო ნამუშევარს არ აფასებენ. ასევე აღსანიშნავია, რომ სანამ გამარჯვებული არ დასახელდება ყველა ნამუშევარი ანონიმურია და, როგორც ორგანიზატორები აცხადებენ, კონკურსის ობიექტურობა მაქსიმალურად არის დაცული.

**"საერთაშორისო არქიტექტურული კონკურსის მიზანია საუკეთესო პროექტების წარმოჩენა და იმ არქიტექტორებისა თუ დიზაინერების დაფიქსირება, რომელთაც თავიანთი წვლილი შეაქვთ არქიტექტურის განვითარების საქმეში. მათ შესაძლებლობას ვაძლევთ, აჩვენონ საზოგადოებას, თუ რას აშენებენ, რა პროექტები აქვთ, ანუ ვინ რა გააკეთა და რის გაკეთებას აპირებს... გარდა ამისა, ეს კონკურსი ერთგვარი სტიმულია დამწყები არქიტექტორებისთვის. ჩვენ ასევე საზოგადოებას მივცემთ შესაძლებლობა, თანამედროვე არქიტექტორებს გაეცნონ... ისევე, როგორც გასულ წელს, დაჯილდოების ცერემონიალზე ამჯერადაც ველოდებით უცხოელ სტუმრებს. ორი წელი ამ კონკურსს სხვადასხვა კომპანიების მხარდაჭერით ვატარებდით. გასულ წელს არქიტექტურული კონკურსი თბილისობის დღესასწაულზე, მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით ჩატარდა, ჩვენი თანაორგანიზატორი კი იყო სამშენებლო კომპანია "პლანეტა". "არქიტექტურული პრემია 2009-ს" გამოფენა-დაჯილდოება წელსაც თბილისის მერიისა და საკრებულოს მხარდაჭერით, თბილისობის დღესასწაულზე გაიმართება,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას ჟურნალ "სტილის" გამომცემელმა და კონკურსის ორგანიზატორმა დიმიტრი მოსულიშვილმა.

აღსანიშნავია, რომ წელს არქიტექტურული კონკურსის ჩატარებას, ჟურნალ "სტილთან" ერთად, არქიტექტორთა კლუბი უწევს ორგანიზებას. კლუბი გასულ წელს შეიქმნა, სადაც გაწევრიანებულნი არიან არქიტექტორები და დიზაინერები. კლუბის წევრებს ჟურნალ "სტილის" საიტზე განთავსებული აქვთ საკუთარი ნამუშევრები და დაინტერესებულ პირებს მათი გაცნობა სწორედ აქ შეუძლიათ.

რაც შეეხება თავად კონკურსს, აღსანიშნავია, რომ ლაურეატები დიპლომებით დაჯილდოვდებიან, პირველი პრემიის ლაურეატებს კი პრემიის სიმბოლო - მცირე ფორმის სკულპტურა გადაეცემა. გარდა ამისა, სხვადასხვა კომპანიების მიერ მათთვის დაწესებულია საინტერესო პრიზები. სამხატვრო აკადემიის მედიახელოვნების ფაკულტეტი და საერთაშორისო სტუდია - "I studio" კი ნომინაციაში "საუკეთესო სტუდენტური პროექტი" გამარჯვებულს საგზურით დააჯილდოებს. საგზურის მეშვეობით ლაურეატს შესაძლებლობა მიეცემა, მონაწილეობა მიიღოს იტალიაში, romualdo del biankos საერთაშორისო ფესტივალში, რომელიც ფლორენციაში 24-27 ნოემბერს გაიმართება.

# თბილისის მერიის ახალი ინიციატივა

სოფო ჩიხლაძე

თბილისის მერიამ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების პროექტების შესყიდვაზე კონკურსი გამოაცხადა. მას შემდეგ, რაც მერია არქიტექტორებისგან პროექტებს შეისყიდის, მშენებლობის მსურველებს საშუალება ექნებათ, ნებისმიერ დროს აირჩიონ, როგორი დიზაინისა და მოცულობის სახლში სურთ ცხოვრება და დაიწყონ მშენებლობა. კერძოდ, მსურველს შეუძლია ინტერნეტშივე შეარჩიოს გამარჯვებულთაგან სასურველი პროექტი და მერიაში მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების წარდგენის შემდეგ დაიწყოს სახლის მშენებლობა. სასურველ პროექტს ისინი უფასოდ გამოიყენებენ.

ამ სიახლის შესახებ მერიაში გამართულ პრესკონფერენციაზე თბილისის მერმა გიგი უგულავამ და მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსმა მიხეილ ავალიანმა ისაუბრეს. **"ქალაქში ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ხელშეწყობის მიზნით, მერიის არქიტექტურის სამსახური 100კვ.მ-დან-250კვ.მ-მდე საერთო ფართის ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების პროექტების შესარჩევ კონკურსს აცხადებს. კონკურსში მონაწილეობა ნებისმიერ არქიტექტორს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე შეეძლება. მათ ელ.ვერსია არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე www.tbilisi.gov.ge/architect-ზე კონკურსის გამოცხადებიდან 40 კალენდარული დღის განმავლობაში უნდა ატვირთონ. ჩვენ ავტორებისგან შევისყიდით 40 საუკეთესო ერთბინიანი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტს. მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც აქვს მიწის ნაკვეთი და სურს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის დაწყება, საშუალება ეძლევა, ერთ დღეში დაიწყოს სახლის მშენებლობა,"** - განაცხადა თბილისის მერმა გიგი უგულავამ.

არქიტექტურულ პროექტებს სპეციალური კომისია შეისწავლის. უპირატესობა იმ ნამუშევრებს მიენიჭება, რომლებიც ქალაქის იერსახეს კარგად მოერგება. აღსანიშნავია, რომ პროექტი არ ხორციელდება მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონის, ცენტრალურ ქუჩებისა და მაგისტრალების გასწვრივ არსებული ნაკვეთების პირველ რიგში. **"პროექტის მიზანი საშუალო ფენის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და სამშენებლო ბიზნესის სტიმულირებაა... მოქალაქეთა მომსახურების გამარტივების მიზნით თბილისის ექვსივე რაიონული გამგეობის შენობაში არქიტექტურის სამსახურის ადგილობრივი ცენტრები გაიხსნება, სადაც მოქალაქეები მათთვის საინტერესო ინფორმაციასა და მომსახურებას სახლთან ახლოს, საკუთარ რაიონში მიიღებენ,"** - ამბობს მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსი მიხეილ ავალიანი.

აღსანიშნავია, რომ მთლიანად ამ პროექტისთვის დედაქალაქის მერია 100 000 ლარის გამოყოფას გეგმავს.

# ეკონომიკა მცირდება

მანანა ვარდიაშვილი

2007 წლის რეკორდული 12,4-პროცენტიანი ზრდის შემდეგ 2008 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდის ტემპი 2,4 პროცენტამდე დაეცა. წელს მთავრობის პროგნოზით, მთლიანი შიდა პროდუქტის კლება 4 პროცენტს გაუტოლდება. საერთაშორისიო სავალუტო ფონდისთვის (სსფ) გაგზავნილ წერილში, რომელსაც პრემიერი, ფინანსთა მინისტრი და ეროვნული ბანკის პრეზიდენტი აწერენ ხელს, სწორედ ასეთი პროგნოზია გამოთქმული.

მთავრობის პროგნოზით, 2009 წელს საქონლისა და მომსახურების ექსპორტი 20, იმპორტი 27, ხოლო ფულადი გადმორიცხვების ოდენობა 18 პროცენტით შემცირდება. 40 პროცენტით შემცირდება საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობაც.

2008 წელს საქართველოს ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი 12 797 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდა. 2008 წლის მშპ-ს ყველაზე დიდი წილი - 13 პროცენტი ვაჭრობაზე მოდიოდა, 8,9 პროცენტი სოფლის მეურნეობაზე, 8,2, პროცენტი მრეწველობაზე, 6,6 პროცენტი ტრანსპორტზე, 5,3 პროცენტი მშენებლობაზე, ხოლო 4,1 პროცენტი ჯანდაცვაზე.

სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, 2009 წლის პირველ კვარტალში საქართველოში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 5,9 პროცენტით შემცირდა (შარშან ამავე პერიოდში ზრდა 9,1 პროცენტი იყო). სტატისტიკური მონაცემებით, ვარდნა განსაკუთრებით თვალსაჩინო ვაჭრობის, სამშენებლო და სატუმროებისა და რესტორნების სექტორებში იყო. ეს ის დარგებია, რომლებიც ბოლო წლებში ზრდის ყველაზე მაღალი ტემპით ხასიათდებოდა. მნიშვნელოვანი ვარდნა დაფიქსირდა გადამამუშავებელ მრეწველობაშიც. თუმცა, არის ისეთი სექტორები, რომლებიც დადებითი ზრდის ტემპით ხასიათდებოდა (სამთო-მოპოვებითი მრეწველობა, განათლება).

გასული წლის ივლისში ქართული ბანკების მთლიანი წმინდა აქტივები 8 მილიარდ 606 მილიონი ლარი იყო. განვლილ ერთ წელიწადში საბანკო აქტივები თითქმის 900 მილიონი ლარით დაეცა. იზრდება ვადაგადაცილებული სესხების ოდენობაც. საბანკო სექტორში უმოქმედო სესხების ოდენობამ მილიარდ ლარს გადააჭარბა. ბანკებმა უმოქმედო სესხებზე რეზერვები გაზარდეს. გაზრდილია სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვიც. გაზრდილი რეზერვების გამო, საბანკო სექტორმა მეორე კვარტალი 63,5 მილიონი ლარის წმინდა ზარალით დაასრულა. საბანკო სექტორის მიერ გაცემული სესხების ყველაზე დიდი წილი კი ვაჭრობის სფეროზე მოდიოდა, სექტორზე, სადაც დაცემის ტემპი ახლა ყველაზე მასშტაბურია.

მნიშვნელოვნად მცირდება ფულადი ტრანსფერების მოცულობაც. 2008 წელს საქართველოში 917,9 მილიონი დოლარი შემოვიდა (2008 წლის მშპ-ს 7,1 პროცენტი), 2009 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში კი მხოლოდ 322,5 მილიონი დოლარი. გასულ წელთან შედარებით, კლება ამ სფეროშიც სოლიდურია. გარდა ამისა, ბიუჯეტში უკვე შეტანილი ცვლილების თანახმად, წლის დასაწყისში დაგეგმილი საგადასახადო შემოსავლების პარამეტრი 500 მილიონი ლარით შემცირდა. ეს პარამეტრი წლის ბოლომდე შეიძლება კიდევ გადაისინჯოს.

ეკონომიკური განვითარების სამინისტროში აცხადებენ, რომ ეკონომიკური ვარდნის ახალი მაჩვენებელი ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის. 2009 წლის ბიუჯეტი ისევ 1,5-პროცენტიან ეკონომიკურ ვარდნაზეა გათვლილი. მომდევნო თვეებში მოსალოდნელი ეკონომიკური ვარდნის ზუსტი მაჩვენებლის პროგნოზირება ნოემბერში მოხდება. სავარაუდოდ, ამ დროისთვის შევა ცვლილებები ბიუჯეტშიც.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში სოსო არჩვაძე ფიქრობს, რომ ქართული ეკონომიკის ვარდნის ტემპი ნავარაუდევზე უფრო მასშტაბური იქნება: "ვფიქრობ, რომ მშპ-ს 4-პროცენტიანი ვარდნა ზომიერად ოპტიმისტური პროგნოზია. ამ პროგნოზს სსფ-ც ეთანხმება. მაგრამ, იმ შემთხვევაში, თუ წლის ბოლომდე ლარის კურსი დოლართან მიმართებაში 1,68 ნიშნულზე მეტად გაუფასურდება, ვარდნამ შესაძლოა 7-8 პროცენტსაც მიაღწიოს.

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი ვითარება მარტო საქართველოში არ არის. მსოფლიო ბანკის პროგნოზით, პოსტსაბჭოთა სივრცეში მხოლოდ უზბეკეთს აქვს ეკონომიკის ზრდის დადებითი მაჩვენებელი".

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი ლალი ღოღობერიძე აცხადებს, რომ "მიმდინარე წლის მეორე კვარტლიდან ბიზნესსექტორში ზრდის ტენდენცია შეინიშნება". მთავრობა სამშენებლო და საბანკო სექტორის დახმარების მიზნით სპეციალურ პროგრამას ახორციელებს, რამაც ამ სექტორებში მოსალოდნელი ეკონომიკური ვარდნის ტემპი, წესით, უნდა შეამციროს.

საქართველოს მთავრობის პროგნოზით, წელს ეკონომიკა კვლავ დონორთა დახმარებებზე იქნება დამოკიდებული. სსფ-სთვის გაგზავნილი წერილის მიხედვით, მთავრობა ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღების გაძლიერებას და ეკონომიკის შემდგომ ზრდას 2010 წლის დასაწყისისთვის მოელის.

# სადაზღვევო ბაზრის გამოუყენებელი პოტენციალი

თინა შავაძე

*დასაწყისი წინა ნომერში*

მიმდინარე წელს ჯანმრთელობის დაზღვევის ახალი სქემა ამოქმედდა. პროგრამა პოტენციურად ვრცელდება იმ ერთ მილიონ ადამიანზე, რომელიც მთავრობის მიერ განხორციელებული სხვა უფასო სქემებით ვერ სარგებლობს. შემოთავაზებული პაკეტი მოიცავს ძირითად რისკებს და სამი ნაწილისგან შედგება - უბედური შემთხვევის შედეგად საჭირო სამედიცინო მომსახურება, გადაუდებელი სტაციონარული მომსახურება და გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება. პოლისის ფასი თვეში 5 ლარია, საიდანაც 3,35 ლარს სახელმწიფო იხდის.

მართალია, ე.წ. ხუთლარიანი სადაზღვევო სქემის ამოქმედება თავდაპირველად მხოლოდ ერთი წლის შემდეგ იგეგმებოდა, მაგრამ ეს სქემა ჯანდაცვის სისტემის რეფორმის გრძელვადიან სტრატეგიაში თავსდება. ჯანდაცვისთვის გამოყოფილი საჯარო სახსრების კერძო სადაზღვევო კომპანიების მეშვეობით განაწილება არის ერთ-ერთი ოთხი პრიორიტეტიდან იმ გეგმისა, რომელსაც მსოფლიო ბანკმა 2006 წელს "ჯანდაცვის სექტორის მასშტაბური რეფორმა" უწოდა.




რამდენად აკმაყოფილებს ჯანმრთელობის დაზღვევის ახალი სქემა საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნილებებს და რამდენად შეესაბამება ის საქართველოს მიერ გაერო-ს ადამიანის უფლებების დეკლარაციის ხელმოწერისას ნაკისრ ვალდებულებებს - ამის შესახებ "ირლანდიური დახმარებისა" და საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის "საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების მონიტორინგი" ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაცია "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" ანგარიში მოამზადა. სადაზღვევო სფეროს მიმდინარე რეფორმის შესახებ ჩატარებულ გამოკითხვაში მონაწილეობდნენ: *GPI Vienna* სადაზღვევო ჯგუფის სამედიცინო დაზღვევის დირექტორი სოფი გასიტაშვილი; საქართველოს დაზღვევის ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე დევი ხეჩინაშვილი; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი სოფიო ლებანიძე; *Imedi International* სადაზღვევო კომპანიის გენერალურ დირექტორი ალექსანდრე ლორთქიფანიძე; *AIG Europe S.A. (*საქართველოს ფილიალი*)* გენერალური მენეჯერის მოადგილე ია მესხი; "ბანკი რესპუბლიკის *Societe Generale*" ჯგუფის საერთაშორისო მენეჯერი ანონსიადე მურატი და სადაზღვევო კომპანია "ალდაგის" ერთი ანონიმური წყარო.

საქართველოს ჯანდაცვის სისტემას მრავალი ენდემური პრობლემა აქვს და, ამდენად, დიდი ხანია რეფორმას საჭიროებს. მთავარი პრობლემა დაფინანსების სიმცირეა. ჯანდაცვის ხარჯები ერთ სულ მოსახლეზე 1985 წელს 95,5 აშშ დოლარს შეადგენდა, მაგრამ 1994 წლისათვის 0,90 დოლარამდე დაეცა. მართალია, ვარდების რევოლუციის შემდეგ სისტემაში მნიშვნელოვანი რეინვესტირება განხორციელდა, მაგრამ მთავრობის მიერ ჯანდაცვაზე დახარჯული თანხები კვლავაც წარმოუდგენლად მცირეა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოებთან შედარებით.

ჯანდაცვის სისტემის არასაკმარისი დაფინანსების კომპენსირებას ინდივიდები საკუთარი ჯიბიდან ახდენენ ნაღდი ფულის ან ექიმის საყვარელი კონიაკის სახით. როგორც მსოფლიო ბანკის ანგარიშშია აღნიშნული, "ანაზღაურება შეიძლება იყოს როგორც მკურნალობის შემდგომ მიცემული საჩუქარი, ისე წინასწარ გადახდილი ნაღდი ფული". მოქალაქეების მიერ საკუთარი ჯიბიდან გადახდილი თანხების წილი ჯანდაცვაზე დახარჯულ მთლიან თანხაში 2002 წელს 80 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 2006 წელს - 72 პროცენტს.

თუმცა, ასეთი სახის კორუფცია მხოლოდ აისბერგის მწვერვალია. "ჯანდაცვის სექტორისთვის დამახასიათებელი ბუნდოვანების, ასიმეტრიული ინფორმაციისა და მრავალრიცხოვანი და გაფანტული მოქმედი პირის სპეციფიკური კომბინაციის წყალობით, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი მცირე სახსრებიც კი ყოველთვის პაციენტებზე ზრუნვას არ ხმარდება.

პრობლემის სათავე არის ის, რასაც ერთ-ერთმა სადაზღვევო კომპანიამ "სამედიცინო მაფია" უწოდა. ექიმები, რომლებსაც "მხოლოდ ფული აინტერესებს", პაციენტებს ხშირად უნიშნავენ ზედმეტად ძვირ მედიკამენტებს, რაც მათ რეალურად არ სჭირდებათ. ასეთი საქმიანობის დასაფინანსებლად "დახლართული სისტემა" გამოიყენება. შესაბამისი სტატისტიკური მონაცემები საქართველოში არ მოიპოვება, მაგრამ ლოგიკური იქნება ვივარაუდოთ, რომ საქართველო არ არის დაცული იმ ფენომენისგან, რომელიც სხვა მრავალ ქვეყანაში გვხვდება. მაგალითად, "უკანასკნელ წლებში მედიკამენტების, ხელსაწყოებისა და ბიოტექნოლოგიების მწარმოებლები აშშ-ში წელიწადში დაახლოებით 16 მლრდ. დოლარს ხარჯავენ თერაპევტებს შორის მარკეტინგულ საქმიანობაზე, რაც თითოეულ ექიმზე წლიწადში 13 000 დოლარს უდრის. საბოლოო ჯამში, ამ ფუფუნების ფასს პაციენტი და სახელმწიფო იხდიან. ასეთი სახის კორუფცია "საქართველოში ძალიან თვალსაჩინო არ არის, მაგრამ ის რეალურად არსებობს". ჯანდაცვის სამინისტროს აღიარებით, ადგილი ჰქონდა "გარკვეულ პრობლემებს და ვითარება კიდევ უფრო დამძიმდა ფარმაცევტული კარტელის არსებობის შედეგად, რომელიც "ყოველთვის მზად არის ფასების თაობაზე შეთანხმებისთვის."

საბჭოთა მემკვიდრეობა იჩენს თავს აგრეთვე პაციენტისთვის შეთავაზებული არჩევანის სიმწირესა და პაციენტის მოთხოვნილებების არასათანადოდ დაკმაყოფილებაში. ის, რასაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია "პროვაიდერების პლურალიზმს" უწოდებს, საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში პრაქტიკულად არ არსებობს, ანუ პაციენტებს იმაზე დათანხმება უწევთ, რასაც მათ სთავაზობენ.

ამრიგად, მოქმედების საჭიროება აშკარა იყო, მაგრამ კონკრეტულად რა უნდა ელონა მთავრობას? ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი იყო სოციალური დაზღვევის ევროპული მოდელი, სადაც ამა თუ იმ სამსახურში დასაქმებული ადამიანები თავიანთი ხელფასის განსაზღვრულ პროცენტს იხდიან. თუმცა, საბოლოო ჯამში გადაწყდა, რომ ეს მოდელი განუხორციელებელი იყო იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებსაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია "შრომის ბაზრის მახასიათებლებს" უწოდებს.

უმუშევრობის მაღალი დონის შედეგად ფორმალურად დასაქმებული მოსახლეობის ხვედრითი წილი მცირეა. გარდა ამისა, დიდია თვითდასაქმებული და სოფლის მეურნეობაში მომუშავე ადამიანების რიცხვი. მათთვის დაწესებული მოსაკრებელი უფრო მცირეა და მასაც მხოლოდ მაშინ იხდიან, როდესაც მოგების დეკლარირებას მოახდენენ (რაც საკმაოდ იშვიათია).

მთავრობას, რომელმაც სხვა სოციალურ ჯგუფებზე უკვე იზრუნა, ფაქტობრივად მხოლოდ ერთი ვარიანტი ჰქონდა დაახლოებით ერთი მილიონი შედარებით უზრუნველყოფილი მოქალაქისთვის, რომლებსაც კვლავაც არ ჰქონდათ სამედიცინო მომსახურების გარანტია. ეს ვარიანტი არის ჯანმრთელობის დაზღვევა, რომელსაც ერთ-ერთმა მიმომხილველმა "ტრანზიციულ ქვეყნებში ჯანდაცვის პრობლემების მოგვარების ერთადერთი საშუალება" უწოდა.

მას შემდეგ, რაც ეს არჩევანი გაკეთდა, ხელისუფლება რამდენიმე პრობლემის, მათ შორის ფინანსური პრობლემების, წინაშე დადგა. ასეთი მოდელის უარყოფითი მხარეა სამედიცინო მომსახურების მზარდი ფასები. საპარლამენტო ფრაქცია ქრისტიან-დემოკრატების წევრ მაგდა ანიკაშვილის თქმით, ეს გარემოება "საფრთხეს უქმნის პროექტის განხორციელებას". მართალია, ინფლაცია გავლენას ნებისმიერ სისტემაზე ახდენს, მაგრამ საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ კერძო სადაზღვევო მომსახურება განსაკუთრებით მგრძნობიარეა მის მიმართ. აშშ-ში განხორციელებული ერთ-ერთი კვლევის თანახმად, "1983-2006 წლებში კერძო სადაზღვევო კომპანიების საშუალო წლიური ხარჯები ერთ კლიენტზე 29 პროცენტით უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე სახელმწიფო პროგრამა "მედიქერის" ხარჯები.

მიუხედავად ამისა, დაზღვევის შემოთავაზებულ სქემას ფინანსური თვალსაზრისით არაერთი დადებითი ასპექტი აქვს.

უპირველეს ყოვლისა, ეს მოდელი "მომსახურების შესყიდვის ფუნქციას სადაზღვევო ფონდებს აკისრებს, ხოლო რესურსების განაწილების ძირითად მექანიზმად კონტრაქტები გამოიყენება." კიდევ ერთი ინოვაცია, რომელიც ძალზედ მნიშვნელოვანია ხარჯების ეფექტიანი მართვის თვალსაზრისით, არის შედეგებზე მიბმული გადახდის სისტემა პროვაიდერებისთვის, რომლის ფარგლებშიც მომსახურების ანაზღაურება მომსახურების მოცულობაზეა დამოკიდებული. უნდა გვახსოვდეს, რომ სადაზღვევო კომპანიები მოგებაზე არიან ორიენტირებულნი. თბილისში მომუშავე ერთ-ერთმა კომპანიამ პირდაპირ განაცხადა: "სადაზღვევო კომპანიები უშუალოდ არიან დაინტერესებულნი, რომ ფული არ დახარჯონ. კერძო სექტორის მონაწილეობა, რა თქმა უნდა, წარმოშობს ხარჯების შემცირების მოლოდინს სახელმწიფო შესყიდვების არსებულ სისტემასთან შედარებით, რომელიც კორუფციის უფრო მაღალ რისკს გულისხმობს, რისი მაგალითებიც უკვე სახეზეა. შუნტირების ოპერაცია 13 000 ლარის ნაცვლად ახლა 9500 ლარი ჯდება, რადგანაც სადაზღვევო კომპანიებმა მოძებნეს კლინიკა, რომელიც მზად იყო, ეს მომსახურება სხვებზე უფრო დაბალ ფასად შეეთავაზებინა. უეჭველია, რომ მომსახურების სხვა მომწოდებლებიც ასე მოიქცევიან.

სადაზღვევო კომპანიების მონაწილეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მედიკამენტების გაძვირების თავიდან აცილების მხრივ. რადგანაც "დიდი რესურსების მქონე საბაზრო მოთამაშეების კომერციული ინტერესები მათ წამლებზე დახარჯული თანხების კონტროლის ნებისმიერი მცდელობის ბლოკირების ან განეიტრალების საშუალებას აძლევს. ხარჯების კონტროლის წარმატებით განხორციელებისთვის უმაღლესი დონის თანამდებობის პირების პოლიტიკური მხარდაჭერა აუცილებელია. უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე მთავრობამ ხარჯების შემცირების მხრივ გარკვეული ნება გამოავლინა, თუმცა ხარჯების მკვეთრ შემცირებას საბოლოო ჯამში სწორედ სადაზღვევო კომპანიებისთვის კონტროლის დათმობის შესახებ მისი გადაწყვეტილება გამოიწვევს. სადაზღვევო კომპანიების სახით სისტემაში კიდევ ერთი კომერციული ელემენტის გაჩენა დააბალანსებს კომერციულ მოგებაზე ორიენტირებულ მედიკამენტების მიმწოდებელთა გავლენას.

ამჟამად ჯანმრთელობის დაზღვევა მხოლოდ 150 000 ადამიანს აქვს, ანუ ბაზრის განვითარების პოტენციალი ძალზედ დიდია. თავად სადაზღვევო კომპანიები ამ კონკრეტული სქემიდან დიდ მოგებას არ ელიან და მას მხოლოდ ინტერესის ზრდისა და ახალი კლიენტების მოზიდვის გზით ბაზრის გაფართოების საშუალებად განიხილავენ. ერთ-ერთი სადაზღვევო კომპანიის წარმომადგენლის თქმით, ეს სქემა "ჩვენი ინვესტიციაა, ვინაიდან მთავრობის რესურსები შეზღუდულია, ჯანდაცვის სექტორის სათანადო დაფინანსებით უზრუნველყოფა ამ ფინანსური რეზერვუარის საშუალებით უნდა მოხდეს."

2009 წლის მაისის მდგომარეობით მოქალაქეთა ინტერესი სქემის მიმართ მცირეა. რეგისტრაცია მხოლოდ 12 000 ადამიანმა გაიარა.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში.*

# საავტორო უფლებები და ინტელექტუალური საკუთრება

თამარ კაციტაძე

*საავტორო უფლებები, ინტელექტუალური საკუთრება - ეს ის ცნებებია, რასაც ბოლო პერიოდში ხშირად გაიგონებთ სხვადასხვა წრეებში, გაიგონებთ იმასაც, რომ "თურმე ამა თუ ამ პირის ინტელექტუალური საკუთრება უკანონოდ გამოიყენეს, ისე, რომ ჰონორარი არ გადაუხადეს" და ა.შ. არადა, საავტორო უფლებებიც და ინტელექტუალური საკუთრებაც საქართველოს კანონმდებლობით დაცულია და მისი დარღვევა იწვევს, როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლებრივ დევნას.*

*ამ საკითხთან დაკავშირებით თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორ ადვოკატ ირაკლი ყანდაშვილს მოსაზრება ასეთია:*

- ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დარღვევის გამო, სასამართლოში მრავალი ქართული გამომცემლობის თუ სტამბის წინააღმდეგ სარჩელი მაქვს შეტანილი. ხშირად იმასაც ამბობენ, თითქოს ქართული საგამომცემლო საქმის განვითარებას ვუშლით ხელს, თუმცა ამ საკითხს სხვანაირად ვუყურებ. მიმაჩნია, რომ საქართველოში იმდენად განუვითარებელია სხვისი ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და პატივისაცემის ინსტიტუტი, რომ ამით ქართული საგამომცემლო საქმე კი არ ვითარდება, არამედ პირიქით - ზიანდება. თუკი ესა თუ ის ავტორი ან გამომცემლობა, რომელიც უკანონოდ ისაკუთრებს საავტორო უფლებებს, სათანადოდ დაისჯება კანონის წინაშე, ეს ერთგვარი პრევენციის როლს ითამაშებს და მაგალითი იქნება სხვათათვის, რათა მსგავსი ქმედება არ ჩაიდინონ.კაციტაძე

ჩემი კლიენტები ძირითადად უცხოელი ფოტოგრაფები და ხელოვანები არიან, რომელთა შემოქმედება უკანონოდ მიითვისეს ქართველმა ავტორებმა და საგამომცემლო სახლებმა, ნამდვილი ავტორის თანხმობის, მისი სახელის მითითებისა და ჰონორარის გადახდის გარეშე.

ეს სფერო, როგორც უკვე აღვნიშნე, იმდენად განუვითარებელია, რომ როცა ამა თუ იმ ინდივიდს უხსნი მის მიერ ჩადენილ კანონდარღვევას, ვერც წარმოუდგენია, რომ მას ამის უფლება არ ჰქონდა. ვერ წარმოუდგენიათ, რომ, დავუშვათ, სვეტიცხოვლის სურათის ნამდვილი მესაკუთრის, რომელსაც ეს სურათი კარგა ხნის წინ აქვს გამოცემული, თანხმობა უნდა ეთხოვათ. თუმცა, ჩემს პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც უღიარებიათ ბრალი, ეს შეცდომით აუხსნიათ და ამით პრობლემა გადაჭრილა, თუმცა მსგავსი შემთხვევები იშვიათი გამონაკლისია ქართულ რეალობაში.

შეიძლება ითქვას, რომ საავტორო უფლებების მესაკუთრეთა სასარგებლოდ, სასამართლო პრაქტიკა ნელა, მაგრამ მაინც ვითარდება, რასაც მივესალმებით.

ქართულ სამართლებრივ სივრცეში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის ყველა ბერკეტი არსებობს, უფრო მეტიც, საქართველო ხელმომწერია მრავალი საერთაშორისო კონვენციის, რომლებიც იცავენ მსგავს სიკეთეებს და ავტომატურად ეს კონვენციები მოქმედი კანონის როლს ასრულებენ საქართველოშიც.

**- ბატონო ირაკლი, როგორია საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი და საქართველოს მიერ ხელმოწერილი საერთაშორისო სამართლებრივი აქტები ინტელექტუალური საკუთრების სფეროში?**

- საქართველოს კონსტიტუციის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ინტელექტუალური საკუთრების უფლება ხელშეუვალია. საქართველოს ხელი აქვს მოწერილი საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სფეროში, მათ შორისაა: ბერნის კონვენცია ლიტერატურულ და მხატვრულ ნაწარმოებთა დაცვის შესახებ, ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (ისმო) ხელშეკრულება საავტორო უფლებების შესახებ ("ჟენევის ხელშეკრულება"), მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დაფუძნების შესახებ შეთანხმების დანართი, სახელწოდებით შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ.

საქართველოში საავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები

დაცულია საქართველოს კანონით "საავტორო და მომიჯნავე უფლებების

შესახებ". ამავე კანონმდებლობით დაცულია ფოტოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებსაც უთანაბრდება ფოტოგრაფიულის ანალოგიური საშუალებით გამოხატული ნაწარმოები.

**- დაცულია თუ არა უცხო ქვეყნის მოქალაქის საავტორო და მომიჯნავე უფლებები საქართველოში?**

- ბერნის კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, ქვეყნები, სადაც გამოიყენება ეს კონვენცია, ქმნიან კავშირს ავტორთა უფლებების დაცვის მიზნით. იმავე კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, ბერნის კონვენციით გათვალისწინებული დაცვის უფლება გამოიყენება ავტორთა მიმართ, რომლებიც წარმოადგენენ კავშირის ერთ-ერთი ქვეყნის მოქალაქეებს.

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დაფუძნების შესახებ შეთანხმების 1 გ დანართის (შეთანხმება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ) თანახმად კი, თითოეული წევრი სახელმწიფო სხვა წევრი სახელმწიფოების მოქალაქეებს სთავაზობს ხელშეწყობის ისეთ რეჟიმს, რომელიც არ იქნება იმაზე უფრო ნაკლებად ხელსაყრელი, ვიდრე რეჟიმი, რომელსაც ისინი სთავაზობენ თავიანთ მოქალაქეებს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მხრივ.

**- რა მექანიზმებით ხდება საავტორო უფლებების დაცვა?**

- ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ შეთანხმების 45-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შეთანხმების მონაწილე ქვეყნების სასამართლო ორგანოებს უფლება აქვთ სამართალდამრღვევს უბრძანონ, კომპენსაცია გადაუხადოს უფლების მფლობელს, რათა მას სათანადოდ აუნაზღაუროს ის ზიანი, რომელიც უფლების მფლობელმა მისი ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის შედეგად განიცადა. ზიანი ანაზღაურდება, თუ სამართალდამრღვევმა იცოდა ან საკმარისი საფუძველი ჰქონდა სცოდნოდა, რომ მართლსაწინააღმდეგო საქმიანობას ეწეოდა.

იმავე შეთანხმების იმავე 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სასამართლო ორგანოებს უფლება აქვთ უბრძანონ სამართალდამრღვევ პირს, აუნაზღაუროს უფლების მფლობელს ამ უკანასკნელის მიერ გაწეული ხარჯები, ადვოკატისთვის გადასახდელი თანხის ჩათვლით. სათანადო შემთხვევებში სასამართლო ორგანოებს შეიძლება მიენიჭოთ უფლება, დააკისრონ სამართალდამრღვევს მოგების დაბრუნება ან წინასწარ დადგენილი ზიანის ანაზღაურება მაშინაც კი, როდესაც სამართალდამრღვევმა პირმა არ იცოდა ან კიდევ არ ჰქონდა გონივრული საფუძველი სცოდნოდა, რომ მართლსაწინააღმდეგო საქმიანობას ეწეოდა. ეს კი ნიშნავს, რომ აღნიშნული პუნქტი ბრალის გარეშე პასუხისმგებლობასაც უშვებს.

"საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 58-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ ასრულებს ამ კანონის მოთხოვნებს, ითვლება საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დამრღვევად. არც აღნიშნული პუნქტი და არც "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის რომელიმე სხვა დებულება არ შეიცავს მითითებას ბრალის შესახებ, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს კანონმდებლობით, საავტორო და მომიჯნავე უფლებების დამრღვევის პასუხისმგებლობა დგება ბრალის მიუხედავად.

"საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის 59-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებს უფლება აქვთ მოითხოვონ დამრღვევისაგან: უფლების აღიარება; უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და იმ მოქმედებათა აღკვეთა, რომლებიც არღვევს უფლებას ან ქმნის მისი დარღვევის საფრთხეს; ასევე უფლება აქვთ, მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება, მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით; კომპენსაციის გადახდა, რომლის ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო; სხვა ზომების მიღება, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

ზიანის ანაზღაურების განსაზღვრისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს დარღვევის არსი, საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელებისთვის მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანი, აგრეთვე ის სავარაუდო შემოსავალი, რომელიც შეეძლო მიეღო ავტორს და ასე შემდეგ.

**- ინტელექტუალური საკუთრების დაცვა არის თუ არა დაკავშირებული ადამიანის უფლებების დარღვევასთან?**

- საქართველო არის ევროპის საბჭოს წევრი ქვეყანა და მას ხელი აქვს მოწერილი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე. აღნიშნული კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის თანახმად, "ყველა ფიზიკურ და იურუდიულ პირს აქვს უფლება, დაუბრკოლებლად ისარგებლოს თავისი ქონებით." ქონებაში ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებიც იგულისხმება. შესაბამისად, ინტელექტუალური საკუთრების ხელყოფა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევასაც ნიშნავს. ევროპული კონვენციის 34-ე მუხლის თანახმად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიიღებს განაცხადებს ნებისმიერი პირისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციის და ფიზიკურ პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციითა და მისი ოქმებით აღიარებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი არიან.

# კომპიუტერით სარგებლობის "საერთაშორისო მართვის მოწმობა" საქართველოშიც გაიცემა

ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიული სწავლების ცენტრის ბაზაზე ამიერკავკასიაში პირველი ტესტირებისა და სერტიფიცირების ავტორიზებული ცენტრი "ECDL" დაფუძნდა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში ცოდნის შეფასების მთელს მსოფლიოში აღიარებული სტანდარტი შემოდის და მისი მიღება კომპიუტერის ყველა მომხმარებელს შეუძლია.

"ECDL" (European Computer Driving Licence) არის კომპიუტერით სარგებლობის "საერთაშორისო მართვის მოწმობა" - კომპიუტერის მომხმარებელთა სერტიფიცირების და ცოდნის შეფასების ერთიანი ევროპული სისტემა, რომელიც მსოფლიოს 142 ქვეყანაშია აღიარებული. "ECDL" ფონდის ცენტრალური ოფისის წარმომადგენელი პიოტრ მროზინსკი, რომელიც ცენტრის



პრეზენტაციაზე დასასწრებად ჩამოვიდა საქართველოში, აღნიშნავს, რომ **"პროგრამა, რომელსაც "ECDL"-ი საქართველოში ახორციელებს, არის მისი ძირითადი, ბირთვული პროგრამა და მნიშვნელოვანია, რომ "ECDL"-ის ტესტების წარმატებით ჩაბარება და შესაბამისი სერტიფიკატის ქონა შეიძლება სამსახურში მიღების ან თანამდებობრივი წინსვლის ერთ-ერთი პირობა გახდეს".**

პროექტის ტექნიკური კოორდინატორის თამარ ილარიონოვას თქმით, "კერძო პირების გარდა "ECDL"-ის ტესტირება შეუძლიათ ასევე ორგანიზაციებსაც თავისი პერსონალის მომზადების დონის და კვალიფიკაციის ასამაღლებლად საერთო ევროპული სტანდარტის მიხედვით.

**საკუთარი ინფორმაცია**

# რუსეთი ჩავესს ომის გაჩაღებაში ეხმარება

"ნოვაია გაზეტას" მიმომხილველი იულია ლატინინა აქვეყნებს სტატიას, რომელშიც ასაბუთებს, რომ ვენესუელის პრეზიდენტ უგო ჩავესს მძიმე სიტუაციიდან თავის დასაღწევად ომის გაჩაღება სჭირდება, რუსეთი კი ამაში ეხმარება, როდესაც ორ მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების შეიარაღებას კრედიტით აძლევს.



წინა კვირაში მოსკოვმა ირანის შესახებ გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია დაბლოკა და ვენესუელის დიქტატორ უგო ჩავესს კრედიტით 2 მილიარდი დოლარის ღირებულების შეიარაღება მიაწოდა. ჩავესი ირწმუნება, რომ იარაღი თავდასაცავად სჭირდება, მაგრამ იარაღის სიაშია 100 ტანკი - "ტ-90" და "ტ 72მ1მ". ჩავესისთვის პატარა სატანკო არმიის მიცემით მოსკოვმა ვენესუელა-კოლუმბიის მომავალ ომს "ფითილი აუნთო". ეს ომი აუცილებელია ჩავესისთვის, რათა საკუთარი მოსახლეობის ყურადღება საშინაო პრობლემებიდან გარეთ გადაიტანოს, პუტინს კი ეს ომი ნავთობზე ფასის ასაწევად სჭირდება. რუსეთში ჩავესს მესამე სამყაროს ეგზოტიკურ დიქტატორად მიიჩნევენ, მაგრამ ეს ასე არ არის. ვენესუელის პრეზიდენტს სურს, სამხრეთ ამერიკისთვის იგივე გახდეს, რაც დსთ-ს სივრცეში პუტინია. ჩავესი ამისთვის არც დროს ზოგავს და არც ფულს, მაგრამ მისი მიღწევები პუტინისას არ აღემატება. პერუსა და ჰონდურასში ჩავესის მიერ უხვად დაფინანსებული პოლიტიკოსები ისე დამარცხდნენ, როგორც, მაგალითად, იანუკოვიჩი უკრაინაში. დღევანდელი კუბაც, სადაც მიწის მოსახნავად უკვე ხარ-კამეჩის გამოყენებას ცდილობენ და ბოლივიის ექსტრავაგანტული პრეზიდენტი ევო მორალესიც ვენესუელის დახმარებით არსებობენ.

ყველაზე სერიოზული მარცხი ჩავესს შარშან გაზაფხულზე მოუვიდა, როდესაც კოლუმბიის სპეცრაზმმა "ფარკ"-ის (მემარცხენე რადიკალური-ტერორისტული დაჯგუფება, რომელიც კოლუმბიის ნაწილს აკონტროლებს და ნარკობარონების არაოფიციალურ არმიას წარმოადგენს) ბაზის დაკავებისას აღმოაჩინა შვეციის მიერ ვენესუელისთვის მიწოდებული ყუმბარსატყორცნები, აგრეთვე დოკუმენტები, რომლებიც ნარკოტერორისტების მიერ ჩავესისგან 300 მილიონი დოლარის მიღებას ადასტურებდა. ინტერპოლმა დოკუმენტების ნამდვილობა დაადასტურა, ჩავესი კი შეტევაზე გადავიდა და ინტერპოლის პრეზიდენტი არტურო ერერუ ადამიანის უფლებათა დარღვევაში და პინოჩეტთან კავშირში დაადანაშაულა.

ჩავესს სურს, თავი მშვიდობის მტრედად წარმოაჩინოს, ამერიკა კი - აგრესორად, რომელიც კოლუმბიის გამოყენებით ვენესუელის ნავთობის რეზერვების ხელში ჩაგდებას ცდილობს.

პუტინის მსგავსად, ჩავესი თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს კრიმინალებს უწოდებს, არაკომერციულ ორგანიზაციებს ქვეყნიდან აძევებს და მათ უცხოური დაზვერვების აგენტებად მოიხსენიებს, "ფარკ"-ის ტერორისტებს კი "ამბოხებულებს" ეძახის. ქმნის "ბოლივარიულ ინიციატივას" - "კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის" მსგავს სტრუქტურას. ყველაფერს, რასაც ის ამერიკას აბრალებს - ტერორიზმის დაფინანსებას, უცხოეთში ძირგამომთხრელ საქმიანობას, ფაშიზმს, მილიტარიზმს და სხვას - თვითონ სჩადის. მოკლედ, ჩავესი, როგორც პუტინი, თავს მსოფლიო მასშტაბის პოლიტიკოსად მიიჩნევს და შედეგიც, დაახლოებით, ისეთივე აქვს. უგო ჩავესის კლიენტები ყველაზე უბადრუკი რეჟიმები ხდებიან, რომელთაც ვენესუელის ჟანგბადის ბალიშის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლიათ, ხოლო სამხრეთ ამერიკის მეტ-ნაკლებად ნორმალურ ქვეყნებში მის აქტიურობას, დაახლოებით, ისეთივე შედეგი აქვს, როგორიც მოსკოვის მცდელობას - ხელი შეუშალოს "ფერად რევოლუციებს" უკრაინასა და საქართველოში. ჩავესის წარუმატებლობას ისეთივე მიზეზები აქვს, რაც კრემლს. ეს არის ჰიპერტროფირებული თავმოყვარეობა, ნავთობდოლარებისგან თავში ავარდნა, შეთქმულებების მომწყობი დიქტატორის აზროვნება...

"ფარკ"-ის, "ჰამასის" "სამხრეთ ოსეთისა" სხვა ფანატიკური რეჟიმების მხარდაჭერის უკან ნავთობის ფასის გაზრდის რაციონალური სურვილი დგას, აგრეთვე აბსოლუტურად არარეალური რწმენა იმისა, რომ ინტრიგების საშუალებით შეიძლება პოლიტიკური უპირატესობის მიღწევა ღია მსოფლიოსთან, რომლის ეკონომიკაც ნავთობდოლარების ერთადერთი წყაროა.

ოღონდ, რუსეთისგან განსხვავებით, ვენესუელაში პოლიტიკური ცხოვრება რეალურია. რუსეთში იგი მხოლოდ "ო-ერ-ტე"-ს ეკრანზე არსებობს, ვენესუელაში კი - დუღს. ჩავესი ორი სამხედრო გადატრიალების მონაწილეა (1992 წელს შეთქმული იყო, 2002-ში - სამიზნე) და წარუმატებელი რეფერენდუმის შედეგად 2013 წელს წასვლა მოუწევს, თუ რაღაც არ მოხდება, მაგალითად - კოლუმბიასთან ომი.

პუტინს ქვეყანაში ცხოვრების გარკვეული დონე დახვდა, ხოლო ჩავესის ამომრჩეველთა უმრავლესობა სიღატაკის ზღვარს ქვემოთ იყო. თავის დროზე უგო ჩავესმა ნავთობის ინდუსტრიის ნაციონალიზაცია განახორციელა და მოპოვებული სახსრებით ინდიელებს ნავების ძრავები დაურიგა, ხოლო ქვეყნის უღარიბეს ფენებს, ვისაც ასპირინიც კი არ ენახა, საავადმყოფოები აუშენა. ამჟამად ნავთობზე ფასების დაცემამ მას ეს სახსრები წაართვა. ამ პოლიტიკამ თავის დროზე საბჭოთა კავშირიც დაანგრია. ჩავესმა ბოლო საშუალებაც გამოიყენა - ეკონომიკის დარჩენილი მომუშავე დარგების ნაციონალიზაცია, ამის შემდეგ კი ერთადერთი ხერხი რჩება - ომი.

ინტრიგა და პოპულიზმი ეკონომიკას ვერ გამოაცოცხლებს, ომში კი გამოდგება. ჩავესის ხელოვნება - კოლუმბიასა და ვენესუელას შორის ომამდე მიიყვანოს საქმე, რომელშიც ვენესუელა საკუთარ თავს დაიცავს, ხოლო ამერიკა აგრესორი აღმოჩნდება, - აღტაცების ღირსია და საქართველოსთან ომში რუსულ ტაქტიკას ჰგავს.

კოლუმბიის მთავრობის და ამერიკის მთავარი მოწინააღმდეგეები ნარკობარონები არიან. მათ დამრტყმელ საბრძოლო ძალას კი მემარცხენე ტერორისტები და "ფარკ"-ი წარმოადგენენ. ჩავესი ეხმარება "ფარკ"-ს. ამის პასუხად სუსტი, ფიცხი და კუთხეში მიმწყვდეული კოლუმბიის პრეზიდენტი ალვარო ურიბე ამერიკას ნაკომოვაჭრეებთან საბრძოლველად კოლუმბიის სამხედრო ბაზების გამოყენების უფლებას აძლევს. ეს კი ჩავესისთვის საბაბია, რომ მთელ ლათინურ ამერიკას "გრინგოებთან" საბრძოლველად გაერთიანებისკენ მოუწოდოს.

1939 წელს ჰიტლერმა მეორე მსოფლიო ომი პოლონურ ფორმაში გადაცმული გერმანელი ჯარისკაცების პროვოკაციით დაიწყო. მას შემდეგ დიქტატორები გაეშმაკდნენ და საკუთარი ჯარისკაცების ნაცვლად "ფარკ"-ის, "ჰამასის" და "სამხრეთ ოსეთის" ტიპის მეგობარ "კვაზირეჟიმებს" იყენებენ. 100 ტანკს ტყუილად არ ყიდულობენ, საქმე ისეთი ომისკენ მიდის, რომელიც უფრო მოსალოდნელია, ვიდრე ისრაელსა და ირანს შორის ომი და რომელიც შეიძლება წინასწარ მომზადებული და კარგად შენიღბული პროვოკაციით დაიწყოს.

"არქტიკ სეას" ინციდენტი, გაერო-ს რეზოლუციის დაბლოკვა, ჩავესისთვის 2,2 მილიარდი დოლარის იარაღის მიწოდება იმას მიგვანიშნებს, რომ ამჟამად კრემლის მთავარი საგარეო-პოლიტიკური მიზანი ორი კონფლიქტის პროვოცირებაა: ირანსა და ისრაელს და კოლუმბიავენესუელას შორის.

სხვათა შორის, იულია ლატინინას მოსაზრებებს ჩავესი ლამის პირდაპირ ადასტურებს. 16 სექტემბერს მან ლათინური ამერიკის სახელმწიფოების ლიდერებს მოუწოდა, ამერიკის ექსპანსიასთან შეიარაღებული დაპირისპირებისთვის მზად იყვნენ.

*"ნოვაია გაზეტას" მიხედვით*
*მოამზადა ივა შილაკაძემ*

# კავკასიური გარეგნობის ადამიანებზე "მონადირე" დაკავებულია

*მოსკოველმა სამართალდამცველებმა სერიული მკვლელი დააკავეს. 21 წლის ვასილ კრივეცი ბრალდებულია 15 მკვლელობაში. საქმე ისაა, რომ ვასილი კრივეცი, რომელსაც არასლავური გარეგნობის ადამიანების მკვლელობები ედება ბრალად, ერთი წლის წინათაც დააკავეს, თუმცა მაშინ მან გაქცევა მოახერხა. გაქცევიდან ერთი წლის თავზე, ფედერალურ ძებნილად გამოცხადებული სერიული მკვლელი კურსკის სადგურზე დააკავეს. დაკავების ოპერაციაში ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ.*



**"მიუხედავად იმისა, რომ დაკავებული ძალიან ახალგაზრდაა, მან მოასწრო და 15 ადამიანი სიცოცხლეს გამოასალმა. დარწმუნებულები ვართ, რომ საქმის გამოძიების პროცესში, მის მიერ ჩადენილი კიდევ ბევრი მკვლელობა ამოტივტივდება. ვასილი კრივეცი, ძირითადად, რუსეთის ფედერაციის დედაქალაქში, კავკასიური გარეგნობის ადამიანებზე "ნადირობდა,"** - აცხადებენ ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები.

როგორც რუსული პრესა წერს, ერთი წლის წინ ვასილი კრივეცი სამართალდამცველებს საგამოძიებო მოქმედებისას გაექცათ. მაშინ დაკავებული ერთ-ერთი მკვლელობის ადგილზე, მეტროს სადგურში, ექსპერიმენტის ჩასატარებლად ჰყავდათ გაყვანილი. საგამოძიებო ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ, ყველასთვის მოულოდნელად, მან ხელბორკილებისგან გათავისუფლება შეძლო, პოლიციელს, რომელიც მას მიჰყვებოდა თავს დაესხა, თავში მუშტით ძლიერი დარტყმა მიაყენა და გაიქცა.

საგამოძიებო ექსპერიმენტში მონაწილეებისთვის ეს ფაქტი იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ თავის დროზე ვერ შეძლეს გაქცეული პატიმრის დადევნება.

როგორც გაირკვა, ხელბორკილები, რომელიც ვასილი კრივეცს ედო, კარგად არ იყო ჩაკეტილი. იმავე დღეს სისხლის სამართლის საქმე აღიძრა იმ სამართალდამცველების მიმართ, რომლებსაც საგამოძიებო მოქმედების ჩატარებისას სერიულ მკლელობებში ბრალდებული პატიმრის მეთვალყურეობა და კონტროლი ევალებოდათ.

**"საშიშმა დამნაშავემ გაქცევა პოლიციელების გულგრილობისა და უპასუხისმგებლობის გამო შეძლო. ეს პოლიციელები მკაცრად უნდა დაისაჯონ. მათ 21 წლის სერიული მკვლელი დაუსხლტათ ხელიდან,"** - განაცხადეს მაშინ რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურატურასთან არსებული საგამოძიებო კომიტეტის წევრებმა, რომლებიც ვასილი კრივეცის მიერ ჩადენილი მკვლელობების საქმეებს იძიებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ გაქცეულ საშიშ დამნაშავეზე მაშინვე ფედერალური ძებნა გამოცხადდა და მისი პოვნისა და დაკავებისთვის სპეციალური ოპერატიული ჯგუფები შედგა, ვასილი კრივეცის კვალს ერთი წლის განმავლობაში ვერავინ მიაგნო. სამართალდამცველებს ეჭვი აქვთ, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში ვასილი კრივეცი ახალ დანაშაულებს ჩაიდენდა და მოსკოვში მომხდარ საზარელ მკვლელობებში, შესაძლოა, სწორედ მისი ხელი ერიოს. საუბარია კავკასიური წარმოშობის ადამიანების მკვლელობების ფაქტებზე, რომლებიც ჯერჯერობით კვლავ გაუხსნელია.

**"ცოტა ხნის წინ, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, დავადგინეთ, რომ ძებნილი ვასილი კრივეცი მატარებლით უკრაინაში აპირებდა წავლას. დადგინდა ისიც, რომელი სადგურიდან აპირებდა სერიული მკვლელი გამგზავრებას. დაკავების ოპერაცია რამდენიმე საათის განმავლობაში იგეგმებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სპეცგეგმა ზედმიწევნით გათვლით და ფრთხილად ჩატარდა, მან მაინც მოახერხა სამართალდამცველებისთვის სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა. საბედნიეროდ, როგორც იქნა, მისი დაკავება შევძელით და დაკავების წუთიდან მას გაძლიერებული დაცვა იცავს,"** - აცხადებენ სამართალდამცველები. მათივე განმარტებით, ვასილი კრივეცი მოსკოვში მოქმედი ერთ-ერთი ექსტრემისტული დაჯგუფების ლიდერია.

# დაშნაკები თურქეთთან ხელმოსაწერ ოქმებს აპროტესტებენ

ივა შილაკაძე



ერთ-ერთი უძველესი სომხური პარტია "სომხეთის რევოლუციური ფედერაცია "დაშნაკცუთიუნი" სომხეთსა და თურქეთს შორის ხელმოსაწერ ოქმებს აპროტესტებს. ეს ოქმები შეთანხმდა შვეიცარიაში, მასპინძელი ქვეყნის შუამავლობით და პარაფირებულ იქნა აგვისტოს ბოლოს. სომხეთსა და თურქეთს მათ განსახილველად ანუ ე.წ. შიდაპოლიტიკური კონსულტაციებისთვის ექვსი კვირა აქვთ - რეალურად უკვე ერთ თვეზე ნაკლები ოქტომბრის შუა რიცხვებამდე. ორმა ოქმმა "დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების შესახებ" და "ორმხრივი ურთიერთობის განვითარების შესახებ" საფუძველი უნდა ჩაუყაროს ორ ქვეყანას შორის ნორმალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას და განვითარებას.

ნაციონალისტურ პოზიციებზე მდგარი პარტია "დაშნაკცუთიუნი" მიიჩნევს, რომ სომხეთის ხელისუფლება საკმარისად აქტიურად ვერ იცავს ქვეყნის და ერის ინტერესებს და მათ მიერ თურქეთთან შეთანხმებული ტექსტი წამგებიანია სომხეთისთვის. “დაშნაკცუთიუნმა” 15 სექტემბრიდან ერევანში რამდენიმე სამთავრობო შენობასთან მჯდომარე აქცია და პროტესტის უკიდურესი ფორმა - შიმშილობა დაიწყო. ისინი მსგავსი აქციების მოწყობას საზოგადოების ფართო ფენების ყურადღების მიქცევის მიზნით სხვა ქალაქებშიც აპირებენ, ასევე პროტესტის სხვა ფორმებსაც გამოიყენებენ. საპროტესტო ტალღა აგორდება დიასპორაშიც. ამჟამად შიმშილობს პარტიის ოცდაოთხი წევრი, მათ შორის პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მისი ბიუროს წევრი და საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი ვაჰან ოვანესიანი.

პარტიის უმაღლესი ორგანოს წარმომადგენელ არმენ რუსტამიანის სიტყვებით, "დაშნაკცუთიუნის" შეშფოთების მთავარი მიზეზი ის არის, რომ ამ დოკუმენტებში შეუძლებელია რამეს შეცვლა რატიფიკაციამდე, თუნდ ამ შიდაპოლიტიკური განხილვების დროს და მას ან არსებული სახით უნდა მოეწეროს ხელი, ან საერთოდ არ უნდა მოეწეროს.

“დაშნაკები” მიიჩნევენ, რომ სომხეთის დღევანდელი ხელისუფლება ვერ გრძნობს პასუხისმგებლობის მთელ სიმძიმეს და მთელ რიგ საკითხებში თურქეთის გავლენის ქვეშ ექცევა. ისინი საგარეო საქმეთა მინისტრ ედუარდ ნალბანდიანის გადადგომასაც ითხოვენ. "დაშნაკებმა" საპარლამენტო დებატების გამართვა მოითხოვეს (მათ ამაში მხოლოდ ოპოზიციურმა პარტიამ "მემკვიდრეობამ" დაუჭირა მხარი), აგრეთვე ტელედებატებში გამოიწვიეს მმართველი რესპუბლიკური პარტია და ქვეყნის პრეზიდენტი სერჟ სარგსიანი.

სომხეთის ხელისუფლებას აქტიური კონსულტაციები აქამდე არ დაუწყია და ორ კვირაზე მეტი, ფაქტობრივად, მხოლოდ ტექსტის გაცნობისთვის იყო გამოყოფილი. "დაშნაკებს" ისიც აშფოთებთ, რომ თურქეთი ბევრად უფრო სერიოზულად უდგება საქმეს და მათი საგარეო საქმეთა მინისტრი სერიოზულ კონსულტაციებს მართავს პარლამენტშიც და პოლიტიკურ პარტიებთანაც.

სომხეთის პრეზიდენტი მხოლოდ დღეს შეხვდა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს და შეეცადა მათ დარწმუნებას, რომ ეს ოქმები ქვეყანას სარგებელს მოუტანს. მან არ გამორიცხა, რომ ზოგიერთი პუნქტი გარკვეულ რისკს შეიცავს, თუმცა ის დადებითი, რაც მეზობელ ქვეყანასთან ურთიერთობის ნორმალიზაციას მოჰყვება, ამად ღირს.

შეხვედრაზე 64 პოლიტიკური პარტია იყო მიწვეული, მივიდა - 52. სამწუხაროდ, არ არის მითითებული, თუ რომელმა პარტიებმა არ მიიღეს მონაწილეობა კონსულტაციებში უმაღლეს დონეზე და იყვნენ თუ არა მათ შორის გავლენიანი ძალები. "დაშნაკცუთიუნის" აქციებზე ხალხმრავლობა არ არის, სხვა პოლიტიკური ძალებიდან კი ოქმები გააკრიტიკა და სომეხი დიპლომატების მუშაობა უარყოფითად შეაფასა ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ვარდან ოსკანიანმა.

"დაშნაკცუთიუნის" წარმომადგენელმა არმენ რუსტამიანმა განაცხადა, რომ პრეზიდენტთან შეხვედრაზე ზოგიერთმა პარტიამ გამოხატა შეშფოთება, მაგრამ პარტიების უმრავლესობა მაინც აპირებს ამ ოქმების მხარდაჭერას. საქმე ის არის, რომ თურქეთთან ცივილიზებული ურთიერთობის დამყარების პრინციპული წინააღმდეგი არც პარტია "დაშნაკცუთიუნია", თუმცა ისინი მიიჩნევენ, რომ ეს უნდა მოხდეს სომეხი ერის მთავარი ინტერესების გათვალისწინებით. პარტიის კიდევ ერთი წარმომადგენლის კირო მანოიანის სიტყვებით, განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ორი პუნქტი: ორ ქვეყანას შორის საზღვრების აღიარება (!) და ისტორიკოსების კომისიის შექმნა გენოციდის საკითხების გამოსაკვლევად. "დაშნაკების" აზრით, ეს ბოლო პუნქტი თურქეთის პასუხისმგებლობის თავიდან აცილების საშუალებას მისცემს.



# რევიუ

## თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, ანუ ისტორია ახალი

პირველი გვერდიდან

კიდევ ბევრი რამ, რომელსაც უცხოელ სტუმრებთან ერთად ჩვენც კიდევ ერთხელ გადავავლებთ თვალს. გუშინ ამ ყველაფერზე მოკლედ ისაუბრეს ქალაქის მერიაში, სადაც პრესკონფერენცია თბილისის მერმა, ახალი ფესტივალის სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს სხვა წევრებთან ერთად გამართა. ასე დაიწყო თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, თუმცა ნუ ავჩქარდებით. რეალურად ის 26 სექტემბერს გაიხსნება, ამას გარდა, არ უნდა ავჩქარდეთ იმიტომაც, რომ ეს მართლაც დასაწყისია, პირველი დღეები, ჟურნალი, რომელსაც უწინ კინოთეატრებში ფილმამდე გვაყურებინებდნენ. ფესტივალებისა და მათი ინიციატორ-ორგანიზატორების წარმატება წლებისა და ქარტეხილების გამძლეობაში იზომება.

ქალაქის მერი, გიგი უგულავა, ამ ფესტივალის მთავარი ინიციატორია, ფესტივალისა, რომელიც შარშან ზუსტად ამ დროს უკვე ჩაფიქრებული გახლდათ. იდეის ავტორი ამ დღეებში მთავარი მასპინძელიც გახდება, მაგრამ სერიოზული წვლილი ამ საქმეში საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომაც შეიტანა. სწორედ ამიტომ, გუშინ თბილისის მერი კულტურის მინისტრთან ერთად მოგვესალმა.

**გიგი უგულავა:** დღეს ჩვენ გვინდა საზოგადოებას გავუმხილოთ ის მიზნები, რომლებზეც ერთი წლის განმავლობაში ვმუშაობთ. ფესტივალის იდეა დაახლოებით ერთი წლის წინ გაჩნდა. ფესტივალი იწყება და იმედი მაქვს, რომ ის ნელ-ნელა ადგილს დაიმკვიდრებს. ვიცით, რომ ეს არის გრძელი პროცესი. ნებისმიერი ფესტივალი განიზომება შემადგენლობით, სტრუქტურით და კიდევ, რაც მთავარია, თუ როგორ გაუძლებს ის დროს. ამ თვალსაზრისით, ისტორიული მომენტია, შევძლებთ თუ არა რომ ფესტივალი დავამკვიდროთ. ამ ფესტივალით ჩვენ რეალურად შევძლებთ გავაფართოვოთ ჩვენი კულტურული სივრცე, საზოგადოებას შევთავაზოთ მსოფლიოში საუკეთესო ნამუშევრები... მიუხედავად პრობლემებისა, თბილისელების 40-50 პროცენტი რეგულარულად დადის თეატრში, მიუხედავად ბევრი პრობლემებისა, ძალიან აქტიურია როგორც მაყურებელი, ისე ჩვენი თეატრები შემოქმედებითი თვალსაზრისით, თუმცა იმედი მაქვს, ეს ფესტივალი ჩვენ მოგვცემს შესაძლებლობას გავაფართოვოთ ჩვენი თვალსაწიერი. შემოვიდეს ახალი სისხლი და შემდეგ გავიტანოთ ჩვენი კულტურა. ამ თავსაზრისით მიმაჩნია რომ ეს ფესტივალი იქნება ძალიან დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად დაიმკვიდრებს ეს ფესტივალი ადგილს დროსა და სივრცეში. მერია, როგორც ერთ-ერთი თანადამფუძნებელი, მზად არის ძალიან აქტიურად დაუჭიროს მხარი ამ ფესტივალს. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო კულტურის სამინისტროს, მათი მონაწილეობაც ძალიან მნიშვნელოვანია.

**ნიკოლოზ რურუა** - ჩემთვისაც სასიამოვნოა, რომ ვართ მონაწილენი მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიებისა, არაერთი უცხოური დასი, 300 სტუმარზე მეტი... ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ქართული თეატრი ყოველთვის იყო მოწოდების სიმაღლეზე. მაშინაც როცა საქართველო იყო დაპყრობილი, თეატრი თავის სათქმელს ამბობდა. ქართული თეატრი საბჭოთა პერიოდში იყო ყველაზე პროგრესული, მარჯანიშვილის, ახმეტელის, ტოვსტონოგოვის და სხვათა სახელები ქუხდნენ მსოფლიოში. ქართული თეატრი ისევ აღმასვლის გზაზეა. თეატრში მოდის ბევრი ახალგაზრდა და ნიჭიერი ადამიანი. ახლა კი უკვე არის დროს რომ იზოლაცია, რომელშიც წლების განმავლობაში აღმოჩნდა ქვეყანა და შესაბამისად თეატრიც, გაირღვეს და ამ პროცესში ჩვენი წვლილი შევიტანოთ. მიხარია, რომ ეს ყველაფერი არის კარგად ორგანიზებული. იმედი მაქვს იქნება ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებული, რასაც ითვალისწინებს საერთაშორისო ფესტივალი. მინდა მადლობა ვუთხრა ჩვენს პარნიორებს, ყველა მონაწილეს. მინდა ვუსურვო ამ ფესტივალს გახდეს არა მხოლოდ რეგიონალური, არამედ თავისი მნიშვნელობით მთლიანად მოიცვას აღმოსავლეთ ევროპა. ჩვენ გვაქვს ასეთი ფესტივალები. მაგალითად ბათუმის ჯაზფესტივალი, თბილისის ჯაზფესტივალი. მინდა რომ ასეთივე წარმატებული იყოს ეს თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალიც და ეს იყოს წინაპირობა ქართული თეატრის დიდების დაბრუნებისა.

მერსა და მინისტრს გამოეხმაურა საბჭოს წევრი, **რეჟისორი გიორგი მარგველაშვილი**: ძალიან სასიხარულოა და სასარგებლო ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებისთვის მსგავსი ფესტივალების ჩატარება, პროგრამა დაგარწმუნებთ იმაში, რომ ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება ძალიან მაღალი პროფესიონალური დონის სპექტაკლები, წარმოდგენილი იქნება რამდენიმე ლიდერი რეჟისორი თავიანთი სპექტაკლებით, ფესტივალის მსვლელობის განმავლობაში იქნება ჩატარებული მასტერკლასი, რაც მნიშვნელოვანია ასევე შემდგომი თაობების აღზრდისთვის და ძალიან სასიხარულოა რომ ასეთი ფესტივალის ჩატარების საშუალება მოგვეცა. ჩვენ რამდენიმე დღეში ვიწყებთ ფესტივალს. თბილისის მოსახლეობას და არა მხოლოდ მას, რადგანაც დარწმუნებული ვარ, რომ სპექტაკლის ნახვის მსურველები სხვა ქალაქებიდანაც ჩამოვლენ, ნახავენ საუკეთესო ევროპულ სპექტაკლებს.

მისასალმებელი ტექტების შემედეგ მართლაც საინტერესო და აუდიტორიისთვის ინფორმირებისთვის აუცილებელ დეტალებზე დაიწყო საუბარი. ფესტივალის დირექტორთან, ეკა მაზმიშვილთან დიალოგის ინიციატორი თავად მინისტრი ნიკოლოზ რურუა გახლდათ, თუმცა მერიის თანამშრომლებმა სწორედ პრესკონფერენციის ამ ფორმის გამო, რაც აშკარად ეუცხოათ, უეცრად გადაწყვიტეს რომ "პრესკონფერენცია სამუშაო შეხვედრად იქცა" და ჟურნალისტები ოთახიდან გამოგვისტუმრეს... სავარაუდოდ ჩათვალეს, რომ "კადრები უკვე აკრეფილი იყო", თბილისში ხომ ჟურნალისტი მხოლოდ ისაა, ვისაც უზარმაზარი მიკროფონი უჭირავს და გვერდითაც კამერათა მპყრობელი ახლავს და თანაც ის, რომელსაც მხოლოდ სამწუთიანი სიუჟეტისთვის სურს მსუბუქი ინფორმაციის მოპოვება... მოკლედ, მინისტრისა და ფესტივალის დირექტორის დიალოგს ჩვენ ვერა, მაგრამ ჩვენი "დიქტოფონი" დაესწრო შემთხვევით. საუბარი კი გახლდათ ფესტივალისთვის ყველაზე მნიშვნელოვან თემაზე: როგორ უნდა დაესწროს მაყურებელი ფესტივალს და რამდენად ხელმისაწვდომია ბილეთი ან აბონიმენტი? ეკა მაზმიშვილის თქმით, აბონიმენტები დიდ შეღავათს გაუწევს მას, ვინც აპირებს ფესტივალის ერთგული მაყურებელი გახდეს. ბილეთების ფასი 11 ლარიდან 21 ლარამდე მერყეობს. ბილეთები და აბონიმენტები უკვე თეატრების სალაროებში იყიდება. ამას გარდა ფესტივალის აფიშა თბილისელმა შეიძლება ნახოს ყველგან, სადაც ჩვეულებისამებრ უწევთ სიარული. საინტერესო ისაა, რომ ნებისმიერი თეატრის სალაროში შეგვიძლია დავჯავშნოთ ბილეთები ნებისმიერი სპექტაკლისთვის, რომელ თეატრშიც არ უნდა იყოს მისი წარმოდგენა დაგეგმილი. ქალბატონი ეკა გვპირდება, რომ სამომავლოდ რაღაც-რაღაცეები კიდევ გაუმჯობესდება და ელექტრონული ბილეთების შეძენასაც შევძლებთ... როგორც ჩანს, უფრო სწორად ჩანაწერიდან მესმის, აქვე გოგი მარგველაშვილმა დასძინა ყველაზე მნიშვნელოვანი: თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტების საკმაოდ დიდი ჯგუფი ყოველ სპექტაკლზე უფასოდ დაიშვება. სტუდენტებისთვის ეს ნამდვილი საჩუქარი უნდა იყოს. თანაც გავითვალისწინებელია ისიც, რომ რამდენიმე ჩამოსული რეჟისორი მათთვის ღია გაკვეთილებს გამართავს.

ალბათ ახლა ნებისმიერ მკითხველს აინტერესებს პროგრამა. ამ სტატიაში პროგრამას ვრცლად ნამდვილად ვერ შევეხებით. ეს საკითხი გაშლას ნამდვილად საჭიროებს და ამას შემდეგ ნომერში აუცილებლად გავაკეთებ, თუმცა გეტყვით, რომ დადგმები ლიტვიდა, ლატვიიდან, კორეიდან, პოლონეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, საფრანგეთიდან ... დრამატული თეატრისა და ქორეოგრაფიული თეატრის ნიმუშებს წარმოადგენენ და მოიცავენ როგორც კლასიკურ, ისე თანამედროვე დრამატურგიას. გეგმაშია კიდევ ერთი, ერთობ საინტერესო გამოფენა - "ვიქტორია და ალბას" მუზეუმის ფოტოექსპოზიცია, რომელიც ბრიტანეთის უკანასკნელი წლების თეატრალურ ხელოვნებას და მის ეტაპებს ასახავს.

***

არ ვიცი, რატომ ემთხვევა ხოლმე თბილისში ფესტივალები, კონცერტები და გამოფენები ერთმანეთს და რატომ არ ანაწილებენ მთელს წელიწადზე. მით უფრო, რომ პუბლიკა ყველასთვის დაახლოებით ერთია. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ თბილისის თეატრალური ფესტივალი იწყება მაშინ, როცა პარალელურად გაიხსნება და დასრულდება ამ ფესტივალზე ბევრად ხმოვანი მუსიკალური "შემოდგომის თბილისი", ამავდროულად, უკვე ორი წლის ვიზუალური ხელოვნების დიდი გამოფენა - "არტისტერიუმი". ამ ფესტივალებს ალბათ მოუსწრებს კინოფესტივალი "პრომეთე", რომელიც თავის დროზე, ანუ 12 წლის წინ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ფესტივალის ფარგლებში დაიბადა...

ხომ ხედავთ, ეს შემოდგომა შარშანდელისას არ დაემსგავსება, ომის შემდგომ შემოდგომას. ზუსტად ვიცი, რომ წელს ძალიან ბევრჯერ ვიტყვით - "მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენ... " და ჩვენ მართლაც, რომ მიუხედავად ყველაფრისა, რამდენიმე ფესტივალს გავხსნით და ვიტყვით, რომ ქართული კულტურა ისევ მოწოდების სიმაღლეზეა. შეიძლება ამ დროს რაღაც-რაღაცეები, არასასიამოვნო და მტკივნეული მოგვაგონდეს, თუნდაც ქართულ ყოფით კულტურასთან დაკავშირებული, მით უფრო რომ ამ არასასიამოვნო საქციელების თვალსაზრისით წელს როკორდულ მაჩვენებელს მივაღწიეთ, მაგრამ არაფერს შევიმჩნევთ...

შარშან ამ დროს ბევრი რამ ტრადიციული არ მოხდა, მაგრამ ეს არც კი შეგვიმჩნევია. რაც მოხდა, ისიც ნაცრისფერში მიგვეკარგა. ის კი ზუსტად გვახსოვს, რომ პირველად 11 წლის შემდეგ ტრადიციად ქცეული მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების ფესტივალი არ ჩატარდა. ეს თეატრალებმა უფრო შევნიშნეთ, რადგანაც ფესტივალი მაინც თეატრზე იყო ორიენტირებული. თბილისში ამ ფესტივალზე არ ლაპარაკობდნენ, მას არც აქებდნენ და არც აკრიტიკებდნენ. სამაგიეროდ უკვე იმ დროს ვიცოდით, რომ მომავალ წელს თბილისში თეატრალური ფესტივალი ნამდვილად იქნებოდა, მაგრამ სავარაუდოდ სულ სხვა... ეს უბრალოდ ისტორიაა, უბრალოდ, მაგრამ ისტორიას გათვალისწინება უყვარს.

მაგრამ რა დროს ისტორიაა, როცა ახალი ფესტივალი, ახალი ზეიმი ამ წუთებსა და დღეებში იბადება. დაბადება მასშტაბური უნდა გამოვიდეს, იმიტომ რომ თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი - ის თბილისის მერიის ინიციატივაა. მართალია ასეთი ინიციატივა თბილისელებს არც ისე შორეული წარსულიდან გვახსოვს, მაგრამ ამაზე ბევრი ლაპარაკი აღარ ღირს. დღეს მთავარია "დღეს". კიდევ მთავარი, ისაა, რომ ამ ფესტივალმა გაამართლოს იმედები. გაამართლებს კიდეც, თუ იქნება მართლაც მასშტაბური, საინტერესო, თუ ეს ფესტივალი მთავარ მისიას შეასრულებს - გახდება ზეიმი თბილისისთვის და არა მხოლოდ ქილიკის ობიექტი. ამ ეტაპზე გვაქვს პროგრამა, რომელიც ამის იმედებსა და რწმენას ნამდვილად გვიღვივებს და შეიძლება ისიც ითქვას, რომ ყველაფერი, ერთი შეხედვით გამეორებული ძალიან კარგიც შეიძლება გახდეს, თუკი ამ გამეორებას გამოცდილებად მიიღებენ ახალშობილი ფესტივალის ორგანიზატორები.

მაგრამ ეს ყველაფერი არაფერია თუ სახელმწიფო მხარდაჭერა არ იქნება. მხარდაჭერა მძლავრი და სტაბილური. ქვეყანაში სადაც ბიზნესს ესთეტიკური საკითხებისა და საზოგადოებრივი იდეალების ფორმირებაში წვლილი ვერ შეაქვს და მხოლოდ საკუთარი მოთხოვნების დაკმაყოფილებას ახერხებს, ისევ სახელმწიფოს იმედი თუ შეიძლება ჰქონდეს კულტურას. ისევ სახელმწიფო თუ გახდება მისდამი მოწყალე, ისევ ის თუ დაინახავს გაწვდილ ხელს. მაგრამ, ძალიან შევცდები თუ არ ვიტყვი იმასაც, რომ ნებისმიერი ამ ტიპის მხარდაჭერას პროექტების მონაწილეთა პროფესიონალიზმი (რაც დიპლომატიასაც გულისხმობს) და კეთილსინდისიერება უნდა ედოს საფუძვლად.

26 სექტემბერს მართლაც დაიწყება ზეიმი, იმიტომ რომ დღესდღეობით თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს დიდი მხარდაჭერა აქვს, სერიოზული სახელმწიფო მხარდაჭერა. მეტიც, თუ გადავხედავთ ფესტივალის სამეურვეო საბჭოს, მაშინ შიში იმის შესახებ, რომ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო ამ ფესტივალს გაუჭირდება, სრულიად ქრება: საბჭოს თავჯდომარეა - გიგი უგულავა და წევრებს შორის: ნიკოლოზ რურუა და ზაალ სამადაშვილი. ამ ფესტივალში, სხვა აქამდე არსებული და უკვე არარსებული ფესტივალებისგან განსხვავებით, კიდევ შეინიშნება ერთი ახალი დეტალი. ფესტივალის დირექტორს ქალაქის მერი ნიშნავს 2 წლის ვადით. ასე რომ გაუგებრობებს ყველა აირიდებს და ეს დეტალი ფესტივალისთვის სიცოცხლის ელექსირი გამოდის. ელექსირის გარდა კიდევ არის პირობაც, ბატონი გიგი უგულავა ფესტივალის მთავარი მასპინძელია და გვპირდება, რომ მის მიმართ ყურადღებას არც სამომავლოდ დაიშურებს. მისი პირობის გვჯერა და გვინდა ისიც დავიჯეროთ, რომ ამ ფესტივალის არსებობა შორეულ მომავალშიც - ამ ქალაქის სხვა ნებისმიერ მერს და გაზრდილსა და უფრო აყვავებულ თბილისსაც გაეხარდება.





## აფიშა

18 სექტემბერი

**კინო**

**რუსთაველი**

“აგენტი ზღვის გოჭები”
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 20.00; 22.00;
“გეიმერი”
დასაწყისი: 12.15; 14.15; 16.15; 18.15; 20.15; 22.15;
“მეცხრე უბანი”
დასაწყისი: 12.45; 14.45; 15.45;
“გასეირნება ყარაბახში 2: კონფლიქტის ზონა”
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00; 19.30; 21.30;
“მექალთანე”
დასაწყისი: 12.30; 14.30; 16.30; 18.30; 20.30; 22.15;

**ამირანი**

“პელჰემის გატაცება”
დასაწყისი: 13.30; 14.30; 17.30; 19.30; 22.00 ;
“დიდი გამყინვარება”
დასაწყისი: 12.15; 14.00; 16.00;
“შეწყვეტილი ამბორი”
დასაწყისი: 19.45; 22.15;

**გალერეა**

**ვერნისაჟი**

“თაობათა გადაძახილი” - ფერწერა
ელენე ახვლედიანი, დიმიტრი ერისთავი, შალვა მატუაშვილი,
ჯემალ კუხალაშვილი, ლევან ხარანაული, გიორგი მირზაშვილი,
კოტე ამირეჯიმი, სოსო ქუმსიაშვილი.

**ქარვასლა**

ჩინეთის მონაპოვარი

**ლაინი**

ქართველი თანამედროვე მხატვრების ჯგუფური გამოფენა

**შარდენი**

თანამედროვე ქართული ტიხრული მინანქრის გამოფენა

**კამეა**

ქართველი მხატვრების ჯგუფური გამოფენა

## კონსერვატორიაში საკონცერტო სეზონი საორგანო მუსიკის კონცერტით გაიხსნება

22 სექტემბერს კონსერვატორიაში საკონცერტო სეზონი გაიხსნება, რომელსაც საორგანო მუსიკის კონცერტი გახსნის. მსმენელის წინაშე ეთერ მგალობლიშვილი წარსდგება. გახსნის საღამოზე შესრულდება ბერნარდო საბადინის, დომენიკო ციპოლის, ჯონ ბექვითის, იოჰან კასპარ ფიშერის, იოზეფ ჰაიდნის, ჰენრი ვუდვარდის, გორდონ იანგის, ჟეან ალენის საორგანო ნაწარმოებები.

მომდევნო დღეების განმავლობაში კი (22-23 სექტემბერი) კონსერვატორიის სცენას ახალგაზრდა ქართველი პიანისტები დაიკავებენ. საღამოზე, სადაც დასავლეთევროპელ და ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები შესრულდება, ახალგაზრდა ქართველი პიანისტები: გიორგი აბულაძე, ნინო ბაქრაძე, ნათია ბერაია, მარიკა გელაშვილი, ანა გოგავა, თამარ ელიზბარაშვილი, ალექსანდრე ვასაძე, თინათინ კიკნაძე, გიორგი მიქაძე, ვახტანგ ჟორდანია, ანა ღლიღვაშვილი და ქეთევან ჩხარტიშვილი მიიღებენ მონაწილეობას.

**ჯი-ეიჩ-ენი**

# მეორე მხარე ხორავას თეატრში

### “მე ვარ პრიმიტიული შურისძიების მსხვერპლი” - ქეთი დოლიძე

თამარ კიკნაველიძე





მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ხელოვნების ფესტივალი “საჩუქარი” იმ თვეში იმართებოდა ხოლმე, რომელშიც ახალი, “თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი”, მოეწყობა. გუშინ ამ ფესტივალების ხელმძღვანელებმა პრესკონფერენციები გამართეს - ერთმა აკაკი ხორავას სახელობის თეატრში, მეორემ - თბილისის მერიაში. თუმცა, იმ განსხვავებით, რომ ამ უკანასკნელმა აქცენტი მოსალოდნელი კულტურული მოვლენის წარდგენაზე გააკეთა, პირველმა კი - გიგი უგულავას “პრიმიტიულ შურისძიებაზე”.

თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარის, გიგა ლორთქიფანიძის კაბინეტში ორგანიზებულ პრესკონფერენციას, რეჟისორ ქეთი დოლიძის გარდა, მიხეილ თუმანიშვილის თეატრის მსახიობებიც ესწრებოდნენ. საუბრის დაწყებისთანავე, ქეთი დოლიძემ უარყო მასმედიის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მან თბილისის მერიის მიერ დაარსებული თეატრალური ფესტივალის წინააღმდეგ კამპანია მიზანმიმართულად აწარმოა.

“ახალმა ფესტივალმა ჩაძირა “საჩუქარი”, რომელიც ტრადიციულად ოქტომბერში ტარდება. მე ანგარიშვალდებული ვიყავი, რომ “საჩუქარის” შეჩერებისა და ახალი ფესტივალის დაარსების შესახებ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ფესტივალის დირექტორებისა და უცხოელი პარტნიორებისთვის მეცნობებინა, რაც “თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის” ჩაშლის მცდელობად ჩამითვალეს. ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ მივესალმები ნებისმიერი ფესტივალის დაფუძნებას, მაგრამ ეს სხვისი ჩაძირვის ხარჯზე არ უნდა მოხდეს. ცნობილია, რომ ახალი ფესტივალი გიგი უგულავას ერთპიროვნული გადაწყვეტილებით დაფუძნდა. მისი ბიუჯეტი სოლიდურია. მე მინდა ვკითხო საზოგადოებას: იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს "საჩუქარი", რომელიც მიზერული თანხით აკეთებს ზუსტად იმავეს, რაც მერიის ფესტივალმა სოლიდური თანხით უნდა გააკეთოს, უზარმაზარ თანხებს სთავაზობს იმ თეატრებს, რომლებსაც სპექტაკლები ჩვენი ფესტივალის ფარგლებში უფასოდ ჩამოჰქონდათ, არის თუ არა ეს მიზანმიმართული კამპანია "საჩუქარის" განადგურებისკენ? პიტერ ბრუკმაც კი უარი განაცხადა მერიის ფესტივალში მონაწილეობაზე, როდესაც გაიგო რის ხარჯზე მოხდა ეს... აქვე იმასაც ვიტყვი, რომ მე მიხეილ თუმანიშვილის ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელად წარმადგინა გრიგოლ ვაშაძემ (რისთვისაც მას ულრმეს მადლობას მოვახსენებ), რომელმაც მაშინ მითხრა, რომ საქართველოს დღეს არა აქვს იმის საშუალება, რომ ფესტივალები მართოსო... და მისი პოზიცია ჩემთვის აბსოლუტურად გასაგები იყო - გასული წლის აგვისტოს შემდეგ მე ამ საკითხთან დაკავშირებით ხმაც არ ამომიღია... კულტურის მინისტრის თანამდებობიდან ვაშაძე მალე მოხსნეს და საგარეო საქმეთა მინისტრად გადაიყვანეს თუ არა, საქართველოში გიგი უგულავას წყალობით უცბად ძალიან სოლიდური თანხაც გაჩნდა... მე თქვენ გეკითხებით, თუ გრიგოლ ვაშაძე თვლიდა, რომ საქართველოს ამის თანხები არ ჰქონდა, მერე როგორღა გაუჩნდა?.. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ მათ ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად დაპატიჟეს “ბედეტეს” თეატრი, მაგრამ მიშა თუმანიშვილის სტუდენტმა თემურ ჩხეიძემ ამაზე უარი განაცხადა... და პაატა ბურჭულაძეზე თუ ამხელა ამბავი ატეხეს, “ბედეტეს” დაპატიჟება ღალატი არ არის? მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თანამდებობიდან ჩემი გათავისუფლება პოლიტიკური ნიშნითა და გიგი უგულავას გადაწყვეტილებით მოხდა. მან დამსაჯა იმისათვის, რომ ვაკრიტიკებდი, როდესაც ხალხს ბინები წაართვა და გარკვეულ პრეტენზიებს გამოვთქვამდი, თორემ სხვა შემთხვევაში რატომ უნდა ყოფილიყო უგულავა ჩემი მტერი?”, - განაცხადა ქეთი დოლიძემ.

მის კომენტარს სხვებიც გამოეხმაურნენ.

**გურანდა გაბუნია:** - “ქეთი დოლიძე ის ადამიანია, რომელმაც შექმნა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის ფესტივალი. ამ ადამიანის სახელი თუ ვინმემ არ იცის, მაშინ ეს ტრაგედიაა, მაგრამ თუ იცის და და არაფრად აგდებს, ეს უკვე დანაშაულია...”.

**გოგი ქავთარაძე:** - “საკითხავია, რა დანაშული ჩაიდინა ქეთი დოლიძემ ისეთი, რომ საჭირო გახდა მისი თანამდებობიდან გათავისუფლება? აი, ამან გაგვიჩინა ჩვენ ეჭვი... ის ხომ ერთადერთი ადამიანია, რომელიც ზრუნავდა იმაზე, რომ საზღვარგარეთ საქართველოს არაერთი თეატრი წარმოეჩინა, მათ შორის, მარჯანიშვილის თეატრიც... ფაქტია, რომ მას რაღაცის გამო ჩაგრავენ...”.

**ნინელი ჭანკვეტაძე:** - “იქიდან გამომდინარე, რომ სამინისტრო ქეთი დოლიძის მოხსნის მიზეზს არ გვიხსნის და მხოლოდ გვაჩვენებენ კანონს, სადაც წერია, რომ ამ დაწესებულებას აქვს უფლება დანიშნოს და მოხსნას ისე, როგორც გაეხარდება, ჩემთვის გასაგებია, რომ ეს ყოველივე სწორედ პოლიტიკური მიზნით მოხდა და მისი თანამდებობიდან გათავისუფლების უფლება კულტურის სამინისტროს არ ჰქონდა1”

ამავე პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს დაურიგდათ ჰილარი ვუდის წერილი, რომელშიც ნათქვამია: “ვშიშობ, რომ დასავლეთში ქეთი დოლიძის გათავისუფლება აღქმული იქნება, როგორც პოლიტიკური ანგარიშსწორების აქტი, რაც დემოკრატიულ საქართველოში არ უნდა ხდებოდეს”.

დანარჩენებისგან განსახვავებით, ამ პრესკონფერენციაზე ლევან ხეთაგურმა (საერთაშორისო ექსპერტი კულტურის დარგში) აქცენტი გააკეთა იმ დარღვევებზე, რომლებსაც ადგილი ახალი ფესტივალის დაარსებისას ჰქონდა. “ჩემს მიერ დაწერილ წერილში, რომელიც მოგვიანებით, ქეთი დოლიძის სურვილით, გაზეთ “ასავალ-დასავალში” დაიბეჭდა, აღვნიშნე, რომ ინტერესთა კონფლიქტთან გვაქვს საქმე, როდესაც მერიის მიერ დაარსებული საჯარო სამართლის იურიდიულ პირის დირექტორად დაინიშნა ეკა მაზმიშვილი და ამით მეორე საჯარო სამართლის იურიდიული პირი გახდა... ამასთან, “ფესტივალების საერთაშორისო ცენტრის” წესდებაში წერია, რომ აღნიშნულმა ცენტრმა თანხები ქალაქის სხვადასხვა ფესტივალზე უნდა გადაანაწილოს... არადა, ამ ცენტრის მთელი ბიუჯეტის განმკარგავი ფესტივალი ისე გახდა, რომ ტენდერიც კი არ გამოცხადებულა... სინამდვილეში წერილი, რომელსაც ახლა მხოლოდ ქეთი დოლიძე ახსენებს და ამბობს, ის დაიბეჭდა და მომხსნესო, იმისათვის დავწერე, რომ მარჯანიშვილის თეატრს მასში მოყვანილ დარღვევებზე გაეცა პასუხი, თორემ მსგავსი ცენტრის დაარსება, რომ აუცილებელი და მისასალმებელი იყო, ამას ყველა ეთანხმება”, - განაცხადა ლევან ხეთაგურმა.

# სცენაზეა ნანი ბრეგვაძე

## დიდი საკონცერტო დარბაზი თბილისის ჯაზფესტივალისთვის მზადაა

ია ვეკუა

ნანი ბრეგვაძეს არ ახსოვს, რამდენჯერ გასულა დიდი საკონცერტო დარბაზის სცენაზე - ასჯერ, ათასჯერ, უფრო მეტჯერ და წესით არც უნდა ახსოვდეს, რადგან თუ მის შემოქმედებით ცხოვრებას გადავხედავთ, ამ სცენას მასში ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეკავა. თუმცა ის კონცერტი, რომელიც 5 ოქტომბერსაა დაგეგმილი, კიდევ უფრო განსაკუთრებული იქნება - ამ დღეს ნანი ბრეგვაძე განახლებულ ფილარმონიაში იმღერებს. ქვეყნის მთავარი სცენა სწორედ ქართული ესტრადის დივას შემოქმედებითი საღამოთი გაიხსნება.



ეს ნანი ბრეგვაძის კონცერტია, ამიტომ წინასწარვე შეიძლება იმის წარმოდგენა, რამდენად საინტერესო საღამო გველის. მომღერლის მთელი შემოქმედებითი გზის მაქსიმალურად წარმოჩენისთვის კონცერტი რამდენიმე ბლოკადაა დაყოფილი: პირველ ბლოკში ნანი ბრეგვაძის შემოქმედებითი გზის დასაწყისს გადავავლებთ თვალს, რაც შესაძლოა მსმენელის უმეტესობისთვის ერთგვარი სიურპრიზი აღმოჩნდეს, რადგან თანამედროვე მსმენელი ამ პერიოდს ნაკლებად იცნობს. მეორე ბლოკში ჩვენი მშობლების ახალგაზრდობის დროინდელ ჰანგებს მოვისმენთ - აქ "ორერას" პერიოდის სიმღერები იქნება წარმოდგენილი. მესამე ბლოკი მთლიანად ნანი ბრეგვაძისა და მისი მარადიული აკომპანიატორის, მედეა გონგლიაშვილის შესანიშნავ დუეტს ეძღვნება, შემდეგ კი იმ სიღერებს მოვისმენთ, რომლებიც ქართულ ფილმებში სწორედ ნანი ბრეგვაძის შესრულებით ჟღერს. როგორც ხედავთ, კონცერტი იმდენად მრავალფეროვანია, რომ ფილარმონიის დარბაზში შეკრებილი ნებისმიერი ტიპის მსმენელი მაქსიმალურ სიამოვნებას მიიღებს.

ნანი ბრეგვაძის შემოქმედება იმდენად ვრცელი და უსაზღვროა, რომ მხოლოდ ერთი კონცერტის პროგრამის შედგენა მეტად ძნელი აღმოჩნდა. ქალბატონი ნანი დანანებით ამბობს, რომ ამჯერად რამდენიმე მისთვის საყვარელ სიმღერას ვერ შეასრულებს. "როდესაც სიმღერების ჩამონათვალს გადავხედე, გული დამწყდა, რომ ზოგი სიმღერა კონცერტის ფორმატიდან გამომდინარე სიაში ვერ მოხვდა. მაგალითად, არ შევასრულებ ჩემთვის ძალიან საყვარელი კომპოზიტორის, არჩილ კერესელიძის "დედაო ღვთისას". თუმცა ამ დანაკლისს ვაჟა აზარაშვილის, რევაზ ლაღიძისა და სხვა შესანიშნავი კომპოზიტორების სიმღერები შეავსებს", - ამბობს ნანი ბრეგვაძე.

საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ ქალბატონი ნანი რუსული რომანსების უბადლო შემსრულებელია, ამიტომ ცხადია კონცერტზე რამდენიმე მათგანსაც შეასრულებს. "რუსული რომანსი უდიდესი კულტურაა, რომელიც ძველ, ტრადიციულ ქართულ ოჯახებში ყოველთვის სრულდებოდა, ამიტომ მათი საკონცერტო რეპერტუარიდან ამოღება მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი რუსულია, არ მიმაჩნია სწორად." აქვე შეგახსენებთ, რომ შარშან საქართველო-რუსეთის ომის დროს ნანი ბრეგვაძემ რუსეთში დაგეგმილი კონცერტები ჩაშალა და სამუდამოდ დაბრუნდა სამშობლოში. როდესაც ვეკითხებით, ჩამოვლენ თუ არა კონცერტზე დასასწრებად მისი რუსი კოლეგები, ნანი ბრეგვაძის პასუხი ასეთია: "იქ არავინ მყავს ისეთი, ვისაც ამ კონცერტზე დავპატიჟებდი, თანაც ეს საღამო მთლიანად ჩემს ქართველ მსმენელს ეძღვნება, მხოლოდ მათთვის ვიმღერებ. რაც შეეხება რუსულ სცენაზე ჩემს დაბრუნებას, იმისთვის რომ იმღერო, აუცილებელია შესაბამისი განწყობა. მე კი ასეთი განწყობა ნამდვილად არ მაქვს".

5 ოქტომბერს ნანი ბრეგვაძესთან ერთად სცენაზე მის შვილს, მომღერალ ეკა მამალაძესა და შვილიშვილ ნატალიასაც ვიხილავთ. მათთან ერთად ქალბატონი ნანი სამიოდე სიმღერას შეასრულებს. რაც შეეხება აკომპანიმენტს, ამისთვის საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის ორკესტრი და კაპელა გაირჯებიან. როგორც ორკესტრის დირიჟორი და კონცერტის მუსიკალური ხელმძღვანელი ნიკა მემანიშვილი ამბობს, ორკესტრი და კაპელა სრულ მზადყოფნაშია: "კონცერტამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება, თუმცა ვინაიდან საქმე ნანი ბრეგვაძის საღამოს და ფილარმონიის განახლებული დარბაზის გახსნას ეხება, მისთვის განსაკუთრებით ვემზადებით. პირველი ოქტომბრიდან გენერალური რეპეტიციები იწყება, რაც უფრო ინტენსიურ მუშაობას გულისხმობს. რაც შეეხება ჩემს პირად დამოკიდებულებას, ბედნიერი ვარ, რომ ქალბატონ ნანისთან მუშაობის საშუალება მომეცა, რადგან რამდენიმე წლის წინ მის სოლო კონცერტს დავესწარი და მასთან თანამშრომლობა ვინატრე. როგორც ხედავთ, ეს ოცნება ამისრულდა".

როდესაც ნანი ბრეგვაძეს თანამედროვე კომპოზიტორებთან თანამშრომლობის შესახებ ვეკითხებით, მხოლოდ ერთ მათგანს ასახელებს: "ნინო ჩხიკვაძის რამდენიმე სიმღერა შევასრულე, მაგრამ მხოლოდ რამდენჯერმე, რადგან მივხვდი, რომ თანამედროვე ჟღერადობა ვერ გავითავისე, ის ვერ გახდა ჩემი. ახალგაზრდა კომპოზიტორები ძირითადად თავისივე თაობის შემსრულებლებისთვის წერენ. სხვანაირად არც შეიძლება - მუსიკა ვითარდება და ახალ ფორმებს იძენს. თუმცა ამ სიახლეს აუცილებლად სჭირდება განვითარება, ცოცხალი შესრულების პრაქტიკა, გასტროლები, რითაც მე მართლაც განებივრებული ვიყავი. საკუთარი გამოცდილებიდან ვიცი, რომ მსმენელის წინაშე გამოსვლა მომღერალს ავითარებს და ზრდის".

5 ოქტომბრის მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა ცხადია განახლებული ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის გახსნაა. მისი რეკონსტრუქცია თითქმის ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და როგორც ამბობენ, ის მართლაც მიუახლოვდა დასავლურ სტანდარტებს. როგორც იცით, ფილარმონიის მმართველობა კომპანია "ისტერნ პრომოუშენს" აქვს აღებული და როგორც ამ კომპანიის დირექტორი მიხეილ გიორგაძე ამბობს, მთლიანად განახლდა დარბაზი, სცენა, ფოიე, დამხმარე სათავსოები, განათება და რაც მთავარია, დაამონტაჟეს ფრანგული ფირმა "ელ აკუსტიკის" უახლესი აპარატურა. სიახლეებია განახლებულ ფოიეშიც, რომლის 2-3 საათში პატარა დარბაზად გადაკეთებაა შესაძლებელი. აქვე გაიხსნება რამდენიმე კაფე, მათ შორის "ელვის პრესლის კაფე", სადაც ტიპიური ამერიკული რეტრო გარემო იქნება შექმნილი, თუმცა სხვადასხვა ქვეყნის სამზარეულოც იქნება წარმოდგენილი.

ნანი ბრეგვაძის კონცერტის შემდეგ ფილარმონიის სცენაზე კიდევ რამდენიმე კონცერტია დაგეგმილი, თუმცა წლის მთავარი მოვლენა ტრადიციულად თბილისის ჯაზფესტივალი იქნება. ამ ჟანრის მოყვარულებს წინ ნამდვილი დღესასწაული ელის, რადგან ფესტივალს გენიალური მარკუს მილერი გახსნის, რომელიც ლეგენდარული მაილს დევისის ცნობილ პროექტ Tutu-ს წარმოადგენს. "წელს აქცენტი ძირითადად ჯაზის ახალგაზრდა შემსრულებლებზე გავაკეთეთ. მარკუს მილერის გარდა მოვუსმენთ შესანიშნავ საქსოფონისტ ჯეიმს კარტერს, კურტ ელინგს და ტრიო Medeski Martin & Wood-ს", - ამბობს მიხეილ გიორგაძე. ჩამოთვლილი მუსიკოსების გარდა ფესტივალში სომეხი და აზერბაიჯანელი ჯაზშემსრულებლებიც მიიღებენ მონაწილეობას. გარდა ამისა, გაიმართება კახა თოლორდავას ინტერვიუების კრებულის პრეზენტაციაც, რომლებიც მან საქართველოში გამართული ჯაზ- ფესტივალების სტუმრებს ჩამოართვა.

# დაბრუნება 18 წლის შემდეგ

## "ღია გალერეაში" ცხინვალელი ფერმწერის ნოდარ გიუნაშვილის გამოფენა გაიხსნა

ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველო" მხარდაჭერით საგამოფენო დარბაზში "ღია გალერეა" ცხინვალელი მხატვრის ნოდარ გიუნაშვილის ფერწერული ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა. ევროპაში მოღვაწე, მსოფლიოს ხელოვანთა წრეებში კარგად ცნობილი ფერმწერის ნამუშევრები ქართულმა საზოგადოებამ მხოლოდ ერთხელ, 90-იანი წლების დასაწყისში იხილა. 1991-2008 წლებში იგი მონაწილეობდა საერთაშორისო გამოფენებში გერმანიაში, საფრანგეთში, პოლონეთში, რუსეთში, ჰოლანდიასა და ბელგიაში. ევროპაში 18 წლიანი მოღვაწეობის შემდეგ ნოდარ გიუნაშვილმა სამშობლოში პირველად გამართა გამოფენა და ქართული საზოგადოების წინაშე სერიით "მე და შენ" წარსდგა.



"ამდენი წლის შემდეგ პირველად გავბედე პერსონალური გამოფენის მოწყობა საქართველოში, რადგან ეს უდიდეს პასუხისმგებლობად მიმაჩნდა ჩემი პედაგოგების, კოლეგებისა და საზოგადოების წინაშე. საზღვრებს გარეთ უფრო მარტივად ვაძლევდი თავს ამის უფლებას. ფონდს "ღია საზოგადოება-საქართველო" განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ამ გამოფენის მოწყობაში, რადგან მათი დახმარების გარეშე ეს ღონისძიება ვერ შედგებოდა", - ამბობს მხატვარი.

"ღია გალერეა" ნოდარ გიუნაშვილის ნამუშევრებს 29 სექტემბრამდე უმასპინძლებს, რის შემდეგაც იგი კვლავ საფრანგეთში, კოლმარში გაემგზავრება. ნოდარ გიუნაშვილი 1960 წელს ცხინვალში დაიბადა. 1975-1978 წლებში სწავლობდა ცხინვალის სამხატვრო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა თბილისის სამხატვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე. მისი პირველი გამოფენა თბილისში 1988-1991 წლებში გაიმართა. მას შემდეგ საქართველოში პერსონალური გამოფენა აღარ ჰქონია, თუმცა მონაწილეობა აქვს მიღებული რამდენიმე კოლექტიურ გამოფენაში. იგი არის იუნესკოს მხატვართა საერთაშორისო ფედერაციისა და საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი.

რაც შეეხება თავად გალერეას, იგი ფონდის "ღია საზოგადოება-საქართველო" ოფისში სწორედ ნოდარ გიუნაშვილის ფერწერული გამოფენით გაიხსნა და კიდევ მრავალი ნიჭიერი შემოქმედის ნამუშევარს უმასპინძლებს.

# ტყეების ფიტოსანიტარული მდგომარეობა ბახმაროსა და შუახევის ტყის მასივებში

საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და ბუნებრივ კლიმატური პირობებით უნიკალურია. მის ერთ-ერთ ძირითად სიმდიდრეს ტყე წარმოადგენს, რომელიც წარმოდგენილია მრავალფეროვანი, მაღალი ღირსების მქონე, სახეობებით უხვი მცენარეული საფარით.

საქართველოს ფლორისა და ფაუნის ბიომრავალფეროვნება მნიშვნელოვან წილად არის დაკავშირებული ტყის ეკოსისტემებთან. თანამედროვე ევროპის ტყეებისაგან განსხვავებით, რომელთა ცენოზების უმეტესობა ხელოვნური წარმოშობისაა და შეზღუდული სახის ბიომრავალფეროვნებით ხასიათდება, საქართველოს ბუნებრივი ტყეები (ხშირად ხელუხლებელი ანუ პირველქმნილი ცენოზები) მდიდარი ბიომრავალფეროვნებით არიან წარმოდგენილი.

საქართველოში არსებული მცენარეული საფარის სიუხვე განაპირობებს მავნებელ დაავადებების სიუხვესაც, რომელთა შორის არიან ისეთი სახეობები, რომლებსაც ახასიათებს მასობრივი გამრავლება, არღვევენ ეკოლოგიურ წონასწორობას და დიდი ზიანი მოაქვთ ტყის მასივებისათვის.

მცენარეული საფარის მოსპობა მრავალ ფაქტორთანაა დაკავშირებული. ბუნებრივ მიზეზებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია კლიმატის ისტორიული ცვლა, რამაც ჩვენი პლანეტის მრავალი რეგიონი საგრძნობლად შეცვალა.

სამწუხაროდ ამ ბოლო წლებში გარდა ზემოაღნიშნულისა ანტროპოგენური დატვირთვა ტყეებზე მნიშვნელოვნად გაზრდილია, რაც ჰქმნის ტყეების დეგრადაციის საფრთხეს - არა მხოლოდ ადამიანის უშუალო საქმიანობის შედეგად (პირდაპირი ზემოქმედება: უკონტროლო ჭრა), არამედ ასევე ირიბი ზემოქმედების შედეგად. სატყეო მეურნეობის მენეჯმენტის სისუსტე (ტყის მოვლის, დაცვის არასრულყოფილი განხორციელება) ხელსაყრელ პირობებს ქმნის ტყის ზოგიერთი მავნებელის ინტენსიური გამრავლებისათვის, რამაც შეიძლება ტყეების დიდი მასივების განადგურება გამოიწვიოს.

დღეისათვის საქართველოს სატყეო სექტორის წინაშე მავნებლებისა და დაავადებებისაგან ტყის დაცვის თვალსაზრისით უამრავი პრობლემა დგას, რომელთა გადაწყვეტა ვერ ხერხდება საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობის გამო და რომლებიც სასწრაფოდ რეაგირებას მოითხოვენ.

სამწუხაროდ ამ ბოლო წლებში ანტროპოგენური დატვირთვა ტყეებზე მნიშვნელოვნად გაზრდილია, რაც ჰქმნის ტყეების დეგრადაციის საფრთხეს - არა მხოლოდ ადამიანის უშუალო საქმიანობის შედეგად (პირდაპირი ზემოქმედება: უკონტროლო ჭრა), არამედ ასევე ირიბი ზემოქმედების შედეგად. სატყეო მეურნეობის მენეჯმენტის სისუსტე (ტყის მოვლის, დაცვის არასრულყოფილი განხორციელება) ხელსაყრელ პირობებს ქმნის ტყის ზოგიერთი მავნებელის ინტენსიური გამრავლებისათვის, რამაც შეიძლება ტყეების დიდი მასივების განადგურება გამოიწვიოს.

დღეისათვის არ გაგვაჩნია და ვერ ვფლობთ ზუსტ ინფორმაციას საქართველოს ტყეებში არსებული ფიტოსანიტარული მდგომარეობის შესახებ. რადგან როგორც ცნობილია ტყეების პათოლოგიური კვლევა ხორციელდება ტყის ინვენტარიზაციის პარალელურად, რაც საკმაოდ დიდ თანხებს მოითხოვს. ტყეების ინვენტარიზაციის საკითხი, რომლის გადაწყვეტაც დღემდე ვერ ხერხდება, ჩვენი ტყეების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად იქცა.

უკვე ათეული წლებია საქართველოს ტყეებში არ განხორციელებულა



ბახმაროს ტყე

ერთიანი, დაგეგმილი, კომპლექსური ტყის დაცვისა და აღდგენის ღონისძიებები, თუ არ ჩავთვლით ერჯერად აქციებს, რომლებსაც არც შეიძლება და ვერც ექნებათ სასურველი ეფექტი. წლებია უსახსრობის გამო არასაკმარისად ან საერთოდ ვერ ხორციელდება ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები, რაც თავს გვახსენებს ყოველი ხანძრისას.

სატყეო სექტორში ამ ბოლო პერიოდის განმავლობაში ნამდვილად შეიმჩნევა დადებითი ძვრები (ტყითსარგებლობასთან დაკავშირებული საკითხები). მაგრამ ტყის დაცვის, მოვლის საკითხი მაინც ღიად რჩება.

ლ. ყანჩაველის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის მთავარი ამოცანაა მცენარეების მავნე ორგანიზმებისაგან დაცვა, მათ შორის ტყის მცენარეულობის მავნე ორგანიზმების ყოველმხრივი შესწავლა და მათ მიმართ ბრძოლის ინტეგრირებული ღონისძიებების დამუშავება. ამ ამოცანის გადასაწყვეტად ინსტიტუტში უკვე 77 წელია მიმდინარეობს ფართო კვლევები მავნე ორგანიზმების ბიოლოგიისა და ეკოლოგიის შესასწავლად და მათი მცენარეებთან ურთიერთდამოკიდებულების დასადგენად.

ბუნებრივია ჩვენი ინსტიტუტის დიდი ინტერესი სატყეო სექტორში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით. ჩვენი აზრით ტყის სექტორის გამართული მუშაობისათვის პირველ რიგში უნდა არსებობდეს დახვეწილი საკანონმდებლო ბაზა, რაც გულისხმობს საქართველოს სატყეო პოლიტიკისა და ახალი, საქართველოს ტყის კოდექსის დამტკიცებას.

საქართველოს ტყის ფონდის ნებისმიერმა მესაკუთრემ ტყის მართვა უნდა განახორციელოს საქართველოს სატყეო პოლიტიკისა და ახალი საქართველოს ტყის კოდექსის შესაბამისად.

ჩვენი აზრით ამ დოკუმენტების დამტკიცება უმოკლეს ვადებში უნდა განხორციელდეს, რათა ამ დოკუმენტებსა და სხვა ნორმატიულ აქტებზე დაყრდნობით დარეგულირდეს: ტყით სარგებლობის წარმოება, ტყეების კატეგორიზაცია, ტყის ფონდის აღრიცხვა, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებისათვის ტყეების გადაცემა და მართვა, ტყის ფონდის დაცვა, მოვლა და აღდგენა, საკუთრებისა და მართვის ფორმები და ა.შ.

ტყის ფონდის დაცვა და მოვლა ნამდვილად ესაჭიროება საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს კურორტ ბახმაროს, რომლის ტყეებშიც დღეისათვის ფიტოსანიტარული მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ჩვენს მიერ აგვისტოს თვეში განხორციელებული ექსპედიციისას აღინიშნა ბახმაროს სატყეო მეურნეობის კვ. N6,7,8,11,12 ტერიტორიაზე ტყის მავნებელ-დაავადებების მიერ დაზიანებული, ქარქცეული, თოვლქცეული და ქარტეხილი ხეების მაღალი პროცენტი. დაზიანებებს მთის კალთებზე აქვს ჯგუფური ხასიათი, რომელიც კორომებში კერების სახითაა წარმოდგენილი. შეიმჩნევა კერების შეერთება და დაზიანების არეალის გაფართოება. ლიქენებით დაფარულ ზეზემდგომ ხეებზე, რომლებსაც ჯერ კიდევ მწვანე წიწვი აქვთ, შემოცლილი და ჩამოცვენილია ქერქი. დაზიანებული როგორც პატარა დიამეტრის, ისე დიდი დიამეტრის ხეები.

მავნებელ-დაავადებების მიერ დაზიანებულია ხეების 30-35%, მათგან ზეხმელია 20-25%. ხშირია ნახევრად მოტეხილი ძირიანად მოთხრილი ხეების შეხვედრის ალბათობა, რაც ხელს უწყობს მათზე მავნებელ-დაავადებების აკუმულირებას და შემდგომ მათ გავრცელებას. ზემოაღნიშნულ კვარტლებში აღინიშნება კორომის ჩახერგილობის საკმაოდ მაღალი პროცენტი,ხოლო ღია ადგილებში აღინიშნება საკმაოდ კარგი ბუნებრივი განახლება.

ანალოგიური პრობლემაა შუახევის რაიონშიც. კერძოდ, წიწვოვნების მასობრივი ხმობა აღინიშნება კვ. 26,27,28,29,30,31,33 ტერიტორიაზე. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის სატყეო მეურნეობის ტერიტორიაზე ამ პერიოდში მიმდინარეობს სატყეოების მიხედვით მავნებელ-დაავადებების გავრცელების დადგენა, რაც უდაოდ მისასალმებელია.

ზემოაღნიშნულ კვარტლებში აღინიშნება ტყის მავნებელ-დაავადებების მიერ დაზიანებული, ქარქცეული, თოვლქცეული და ქარტეხილი ხეების მაღალი

პროცენტი. დაზიანებებს მთის კალთებზე აქვს ჯგუფური ხასიათი. შეიმჩნევა კერების შეერთება და დაზიანების არეალის გაფართოება.

მავნებელ-დაავადებების მიერ დაზიანებული ხეების რაოდენობა კვარტლების მიხედვით 35-50% მერყეობს. აღინიშნება კერები სადაც დაზიანებულია ხეების 80-90%. ზეზემდგომ ხეებზე, რომლებსაც ჯერ კიდევ მწვანე წიწვი აქვთ, შემოცლილი და ჩამოცვენილია ქერქი. მისი ცვენა იწყება 1.5-2 მ სიმაღლიდან. მავნებლების დასახლება შეიმჩნევა ღეროს მთელს სიგრძეზე თითქმის კენწერომდე. ხის ქერქი ყველა მხარეს დასახლებულია მავნებლებით ინტენსიურად. დაზიანებული როგორც პატარა დიამეტრის, ისე დიდი დიამეტრის ხეები. მავნებლებიდან აქ წიწვოვან კორომებში ძირითადად დომინირებს: მბეჭდავი ქერქიჭამია, კენწეროს ქერქიჭამია და ნაძვის დიდი ლაფნიჭამია. ზემოაღნიშნულ კვარტლებში აღინიშნება კორომის ჩახერგილობის საკმაოდ მაღალი პროცენტი, რაც ხელს უწყობს მათზე მავნებელ-დაავადებების აკუმულირებას და შემდგომ მათ გავრცელებას.

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე ჩვენი აზრით აუცილებელია: სანიტარული ჭრების დროული და სწორი განხორციელება, კორომის ჭრის ნარჩენებისა და ჩახერგილობისაგან გაწმენდა რომელიც მოქმედი ინსტრუქციითაა გათვალისწინებული და ბიოლოგიურად მდგრადი კორომების ფორმირება რეკონსტრუქციის გზით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის კომპლექსური განხორციელება საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ ტყის მასივების ფიტოსანიტარული მდგომარეობის კიდევ უფრო დამძიმება, რაც თავიდან აგვაცილებს იმ დიდ საფრთხეს რომელიც ბახმაროსა და შუახევის წიწვოვან კორომებს ტყის მასივების მასობრივი ხმობის სახით ემუქრება. ლ. ყანჩაველის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი მზადაა აქტიური მონაწილეობა მიიღოს ზემოაღნიშნული საკითხის განხორციელებაში.

ბახმაროს და შუახევის ზემოაღნიშნულ კვარტლები სამწუხაროდ გამონაკლისს არ წარმოადგენს ფიტოსანიტარული მდგომარეობის თვალსაზრისით და ამდენად მდგომარეობა საგანგაშო ხასიათს ღებულობს. საჭიროდ მიგვაჩნია პრიორიტეტი მიენიჭოს ტყეების დაცვის, მოვლის საკითხებს, რათა ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე განადგურებას გადაურჩეს ეს კი მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევითაა შესაძლებელი.

**რუსუდან კეშელავა**
ლ. ყანჩაველის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, მეცნიერებათა დოქტორი

**ნინო ლომიძე**
ლ. ყანჩაველის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ენტომოლოგიისა და გამოყენებითი ზოოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, აკადემ დოქტორი

აქცია მაგთი ფიქსისგან

მაგთი ფიქსი MAGTI fIX

ჩაერთეთ ქსელში 2-ჯერ უფრო იაფად
25 ლარად

**უფასოდ** მიიღეთ ტელეფონი და ესაუბრეთ მაგთის, ბალისა და მაგთი ფიქსის 2 მილიონზე მეტ აბონენტს ყველაზე დაბალი ტარიფით!

- აქციაში ჩართვისთვის აუცილებელია ანგარიშის შევსება 10 ლარით.
- აქცია ძალაშია 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.



890 500 500

# სპორტი

## ახალკაცი გადადგა. ვინ იქნება ახალი კაცი?

პირველი გვერდიდან


ზაურ გოლაშვილის ფოტო

*მაშინ დიდი ამბიციები გვქონდა.*

ბოლო პერიოდში სხვადასხვა მაღალი ტრიბუნიდან, მათ შორის, თვით ქვეყნის პირველი პირის მიერ გამოთქმული არაერთი კრიტიკული გამონათქვამის ერთობლიობამ ნოდარ ახალკაცს პოსტის დატოვების მტკიცე გადაწყვეტილება მიაღებინა. ვითარება იმანაც გაამწვავა, რომ სხვა, შედარებით ნაკლებად პოპულარულ სათამაშო სახეობებში - კალათბურთსა და რაგბიში ჩვენმა ეროვნულმა გუნდებმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ სპორტის ამ სახეობებში ფეხბურთთან შედარებით (რომელშიც კოლოსალური თანხები იყო დახარჯული) გაცილებით ცოტა ფული დახარჯა.

"ნოდარ ახალკაცის გადაწყვეტილება სფფ-ის რიგგარეშე საარჩევნო ყრილობის მოწვევის შესახებ.

სფფის მე-16 რიგგარეშე საარჩევნო ყრილობა ჩატარდეს 2009 წლის 1 ოქტომბერს," - იტყობინება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდი.

ვერ გეტყვით, მოვლენების ასეთი განვითარება ვის ინტერესებში შედის. თუნდაც ბოლო ოთხწლეულმა დაადასტურა, რომ ამ საქმეში ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს ქართული ფეხბურთის განვითარებისთვის მაინცდამაინც დიდი სიკეთე არ მოაქვს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კანდიდატებს, რომლებსაც ამ პოსტის დაკავების სურვილი გაუჩნდებათ, ბევრი საკითხი ექნება გადასაწყვეტი. საკუთარი ხედვის ჩამოყალიბება, სამოქმედო პროგრამის დაწერა და გუნდის შერჩევა, რომლითაც კანდიდატი ფედერაციის მართვის პულტთან უნდა მივიდეს - დამეთანხმებით, ეს ყველაფერი გარკვეულ დროს საჭიროებს და ორი კვირა ამისთვის ძალზე მცირე ვადაა.

ახალ არჩევნებამდე პრეზიდენტის მოვალეობას პირველი ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე შეასრულებს. ნოდარ ახალკაცის გარდა, ყველა სხვა მმართველი თანამდებობის პირი აგრძელებს მოვალეობის შესრულებას. საარჩევნო ყრილობის მომზადება და წესდების შესაბამისად ჩატარება ფედერაციის გენერალურ მდივანს რევაზ არველაძეს დაევალა. იმ კანდიდატურებმა, ვისაც ფედერაციის პრეზიდენტის პოსტის დაკავების სურვილი ექნებათ, გენერალურ სამდივნოში განაცხადი უნდა წარადგინონ 2009 წლის 26 სექტემბრამდე. არჩევნები ძველი წესით ჩატარდება - კენჭისყრაში მონაწილეობას მიიღებენ სუბიექტების მიერ დელეგირებული პირები. საარჩევნო ხმის უფლება 31 დელეგატს ექნება. გაიმარჯვებს ის კანდიდატი, რომელიც ამ ხმების უბრალო უმრავლესობას, ანუ, სულ მცირე, 16 ხმას დააგროვებს.

ვის გაუჩნდება ამ ურთულეს ვითარებაში უფსკრულში ვარდნის პროცესში მყოფი ქართული ფეხბურთის სათავეში ჩადგომის სურვილი, უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი.

## ქეცბაია - "კლუჟში", ზიკო - "ოლიმპიაკოსში"



"ოლიმპიაკოსისა" და "ალკმაარის" ჩემპიონთა ლიგის მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე თანამდებობიდან გადადგა ბერძნული კლუბის ქართველი მწვრთნელი თემურ ქეცბაია. ფეხბურთის მიმომხილველთათვის ქართველი სპეციალისტის გადადგომა აშკარა მოულოდნელობა აღმოჩნდა, რადგან მისი ხელმძღვანელობით "ოლიმპიაკოსმა" ჩემპიონთა ლიგის ორ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩატარებული ოთხივე მატჩი მოიგო, თანაც ისე, რომ საკუთარ კარში გოლი არ მიუღია. ამასთან, საბერძნეთის ჩემპიონატის პირველი ორი შეხვედრიდან პირეოსელებმა ერთი მოიგეს და ერთი ფრედ დაასრულეს.

ყველაზე გასაკვირი კი ის არის, რომ ქეცბაიას გუნდიდან გაშვების მიზეზად "ოლიმპიაკოსის" არადამაკმაყოფილებელი შედეგები და ფეხბურთელებთან მწვრთნელის ცუდი ურთიერთობა დასახელდა. რეალურად კი ვითარება ალბათ სულ სხვაგვარია. თემური ახალგაზრდა და ჯერ არც ისე პოპულარული მწვრთნელია, "ოლიმპიაკოსის" მესვეურებს კი, ეტყობა, უფრო ტიტულოვანი და ცნობილი სპეციალისტი სჭირდებოდათ. ქეცბაიას გადადგომამდე რამდენიმე დღით ადრე უმუშევარი დარჩა ბრაზილიელი სპეციალისტი ზიკო და ახლა სწორედ მას უწინასწარმეტყველებენ "ოლიმპიაკოსის" მთავარ მწვრთნელობას. უცხოური მედიის ინფორმაციით, 56 წლის ბრაზილიელმა უკვე გააფორმა კონტრაქტი ბერძნებთან და უახლოეს დღეებში შეუდგება სამუშაოს.

ჩვენთვის, ცხადია, გაცილებით მნიშვნელოვანია ის, თუ სად გააგრძელებს მუშაობას ქეცბაია. ქართულ მედიაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ თემურს საქართველოს ნაკრებს ჩააბარებენ, თუმცა, ეს ნაკლებად სავარაუდოა, მით უმეტეს, რომ ქართული ფეხბურთის ზედა ეშელონებში სწორედ ახლახან დაიწყო არეულობა.

უცხოური მედია კი ქეცბაიას რუმინული "კლუჟის" მთავარ მწვრთნელობას უწინასწარმეტყველებს. თემურს "კლუჟში" მუშაობას ადრეც სთავაზობდნენ, მაგრამ მაშინ მან "ოლიმპიაკოსში" წასვლა არჩია.

გადადგომის შემდეგ თემურმა უცხოელ ჟურნალისტებთან პირველი კომენტარი გააკეთა და ეს "ოლიმპიაკოსის" ჩემპიონთა ლიგის მატჩის წინ მოხდა.

"ჩემპიონთა ლიგაში გუნდს ჰოლანდიის "ალკმაართან" რთული მატჩი ელის. გულით და სულით მინდა, რომ "ოლიმპიაკოსმა" გაიმარჯვოს. ეს ასე მოხდა, ნამდვილად ვიზეიმებ. პირეოსელთა გამარჯვება მთელი გულით გამიხარდება და მათ წარმატებას ვუსურვებ. შესაძლოა, ორივე მხარისთვის უკეთესი იყოს, ჩვენი გზები რომ გაიყო".

### ˝შალკე˝ რაფინიას შეელევა

ლევან კობიაშვილისა და ლევან ყენიას ბრაზილიელ თანაგუნდელ რაფინიას შეძენაზე თითქმის არც ერთი ევროპული გრანდი არ იტყოდა უარს. 24 წლის განაპირა მცველი ერთ-ერთი საუკეთესოა საკუთარ პოზიციაზე მსოფლიოში.

გელზენკირხენელთა თავკაცი ფელიქს მაგათი აღიარებს, რომ, კლუბის ფინანსური პრობლემებიდან გამომდინარე, მას ძალიან გაუჭირდება ნიჭიერი სამხრეთამერიკელი უკანახაზელის შენარჩუნება.

"ბუნდესლიგაში რაფინიაზე უფრო მაღალი დონის მარჯვენა მცველი არ მეგულება. ვიცი, რომ მას რამდენიმე გრანდი აკვირდება. ის ახლა შესანიშნავ ფორმაშია და თუ მომავალშიც ასე გააგრძელებს თამაშს, სულ ცოტა ხანში ჩვენს ოფისში ტელეფონზე საპასუხოდ ახალი კადრის აყვანა მოგვიწევს, - განაცხადა მაგათმა, - ყველაზე მეტად ზარს ველი "ბაიერნის" ხელმძღვანელებისგან, რომლებიც უკვე დიდი ხანია რაფინიას ხელში ჩაგდებას ცდილობენ. არ გამოვრიცხავ, რომ "ბარსელონაც" შეგვეხმიანოს. მეტიც, დიდი სიამოვნებით დავთანხმდები კატალონიელთა წინადადებას, თუ ისინი ბრაზილიელის სანაცვლოდ 35 მილიონ ევროს შემოგვთავაზებენ. ჩემი სიტყვები ისე არ გაიგოთ, თითქოს მე რაფინიას გაყიდვის ინიციატორი ვარ. უბრალოდ, "შალკეს" რთული ფინანსური მდგომარეობა აქვს და, სარფიანი წინადადების მიღების შემთხვევაში, იძულებული გავხდებით ბრაზილიელი გავასხვისოთ".

### მარადონას ვერონმაც შეუტია

დიეგო მარადონას რთული პერიოდი უდგას. არგენტინის ნაკრები უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდა და შესაძლოა მსოფლიო ჩემპიონატის მიღმაც დარჩეს. "ალბისელესტეს" მწვრთნელს ბევრი აკრიტიკებს. ამ კრიტიკოსთა რიცხვს ხუან სებასტიან ვერონიც შეემატა.

"არგენტინის ნაკრებში მაღალი კლასის მოთამაშეები არიან თავმოყრილი, მაგრამ მარადონას არ შეუძლია შექმნას ისეთი გუნდი, რომელიც შედეგს აჩვენებს. აქ ყველა იმის მოლოდინშია, რომ ლეო მესი ხუთ მეტოქე ფეხბურთელს მოატყუებს და გოლს გაიტანს. მაგრამ მას ხომ მოედანზე ყველაფრის მარტო გაკეთება არ შეუძლია. "ბარსელონა" სრულიად განსხვავებულ ფეხბურთს აჩვენებს და იქ ლეოს თავისი პოტენციალის 100%-ით გამოვლენა შეუძლია. სრულიად მოსალოდნელია, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მიღმა აღმოვჩნდეთ. საქმე ის არის, რომ არგენტინის ნაკრებში თამაშობენ ფეხბურთელები, რომლებიც საუკეთესო ფორმაში არ არიან", - განაცხადა 34 წლის ვერონმა.

### ˝მანკუნიანელები˝ ალკოჰოლური სასმელის სახეები ხდებიან

კომპანია "Smirnoff" ახალ არაყს ინგლისური კლუბის, "მანჩესტერ იუნაიტედის" პატივსაცემად გამოუშვებს. ალკოჰოლური სასმელის მწარმოებელი კომპანია იმდენად აღფრთოვანდა "წითელი ეშმაკების" მებრძოლი სულით, რომ თავის ახალ შედევრს "ჩემპიონების სული" დაარქვა. "მანჩესტერის" ლიდერები დიმიტარ ბერბატოვი, რიო ფერდინანდი, პაკ ჩჟი სუნი და რაიან გიგზი ამ ექსკლუზიური სასმელის ბოთლზე იქნებიან გამოსახულნი. ეტიკეტსაც "მანჩესტერის" შესაბამისი, წითელი ფერი ექნება. "ჩემპიონების სული" განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ინგლისელ გულშემატკივრებში. თუმცა საინტერესოა, მისცემენ თუ არა ფეხბურთელებს ამ ახალი ალკოჰოლური სასმელის დაგემოვნების საშუალებას.

### მანდანდამ კონტრაქტი გაახანგრძლივა

"მარსელისა" და საფრანგეთის ნაკრების მეკარემ სტივ მანდანდამ თავის კლუბთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გააგრძელა.

ახალი ხელშეკრულების მიხედვით, 2014 წლის ივლისამდე ის "ველოდრომის" ბინადართა საკუთრება იქნება. ეს ინფორმაცია "მარსელის" ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა.

"მართალია, მოქმედი კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე დიდი დრო იყო დარჩენილი, მაგრამ მოულოდნელად კლუბის ხელმძღვანელებმა მისი გახანგრძლივება შემომთავაზეს, რაზეც დაუფიქრებლად დავთანხმდი. აქ თავს მშვენივრად ვგრძნობ", - ამბობს 25 წლის მეკარე.

## რონალდომ ტრავმა მოიშუშა

ბრაზილიური "კორინთიანსის" ფორვარდი რონალდო სათამაშო მოედანს უახლოეს დღეებში დაუბრუნდება. თანამედროვეობის ერთ-ერთმა საუკეთესო ფორვარდმა შუა ზაფხულში ხელი მოიტეხა. ახლა ფეხბურთელი თავს კარგად გრძნობს და "კორინთიანსს" "გოიასთან" მატჩში დაეხმარება.

"კორინთიანსის" მთავარი მწვრთნელი რონალდოს მოედანზე გაყვანას სწორედ მიმდინარე კვირის ბოლოს გეგმავს. გუნდში იმედოვნებენ, რომ "სან პაულუსთან" გასამართი დერბისათვის ის ფიზიკურ კონდიციებს ოდნავ მაინც გაიუმჯობესებს.

## კენიონი ˝ჩელსის˝ დატოვებს

როდესაც აბრამოვიჩმა "ჩელსი" შეიძინა, პირველი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ "მანჩესტერიდან" გადმოიბირა პიტერ კენიონი. სწორედ კენიონს უნდა ჩამოეყალიბებინა სუპერგუნდი. გამოცდილმა საფეხბურთო ჩინოსანმა არისტოკრატიულ კლუბში 5 წელი დაჰყო და სეზონის ბოლოს თანამდებობას დატოვებს.

"ვამაყობ "ჩელსიში" მოღვაწეობით და კლუბში ჩამოყალიბებული მეგობრული ურთიერთობით. 15 წელია ფეხბურთში ვარ და შემიძლია ვთქვა, რომ ლონდონში მუშაობა ჩემი კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო ფურცელია. "ჩელსიში" მისვლა ჩემთვის დიდი გამოწვევა იყო. ყველამ ერთად - ადმინისტრაციულმა და სამწვრთნელო შტაბმა, ფეხბურთელებმა, ხელმძღვანელობამ და რომან აბრამოვიჩმა მოკლე პერიოდში ისეთი კლუბი შევქმენით, რომელიც ევროპული ფეხბურთის ლიდერებში მრავალი წლის განმავლობაში იქნება. ეს მთავარი მიღწევაა," - განაცხადა კენიონმა.

## დონადონი პასუხისმგებლობას გრძნობს

მიუხედავად იმისა, რომ "ნაპოლიმ" იტალიის ჩემპიონატში სუსტი სტარტი აიღო, გუნდის მთავარი მწვრთნელი რობერტო დონადონი თანამდებობის დატოვებას არ აპირებს. "არასწორი გადაწყვეტილება იქნება, თუ კლუბს ჩემპიონატის დასაწყისში დავტოვებ. ახლა გალიაში გამოკეტილ ლომს ვგავარ და შემდეგ თამაშს მოუთმენლად ველი. ქომაგთა და სპეციალისტთა მხრიდან ნეგატიური რეაქცია სრულიად გასაგებია და საკუთარ ნამოქმედარზე პასუხს ვაგებ", - თქვა დონადონიმ აპენინელ ჟურნალისტებთან საუბარში.

## ˝ბაიერნი˝ სერბი მცველით დაინტერესდა

მიუნხენის "ბაიერნი" რომის "ლაციოს" მცველ ალექსანდრ კოლაროვის მიმართ იჩენს ინტერესს.

ყველაზე ტიტულოვანი გერმანული კლუბის სკაუტები 23 წლის სერბი ფეხბურთელის თამაშს აქტიურად ადევნებენ თვალს. კოლაროვს რომაელებთან კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს და სეზონის განმავლობაში ის 220 ათას გირვანქას გამოიმუშავებს.

გასულ ზაფხულში სერბეთის ეროვნული ნაკრების მცველით დაინტერესებული იყო ტურინის "იუვენტუსი", რომელსაც, ფაბიო გროსოს შეძენის მიუხედავად, კოლაროვის ხელში ჩაგდების სურვილი არ განელებია.

## მერსისაიდელები 26 მილიონს მიიღებან

მიუხედავად იმისა, რომ მომავალი წლიდან "ლივერპულის" სატიტულო სპონსორი ბანკი Standard Chartered-ი იქნება, კლუბი გააგრძელებს თანამშრომლობას კომპანია "კარლსბერგთან", რომელთანაც ახალი კონტრაქტი უნდა გაფორმდეს. მერსისაიდული კლუბის მფლობელის ტომ ჰიკსის თქმით, "კარლსბერგი" "ლივერპულს" 26 მილიონს გადაუხდის, რაც კლუბის ბიუჯეტს საგრძნობლად გაზრდის.

"ლივერპულს" ფულადი სახსრების მოძრაობის საუცხოო მაჩვენებელი აქვს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ კლუბს სათანადო რესურსი გააჩნია, რათა ნებისმიერისთვის სერიოზული მეტოქე იყოს. კლუბის ვალი მისაღებ დონეზეა და სამომავლოდ მის შემცირებას ვაპირებთ. ჩვენი მიზანია, გაცილებით ნაკლები დავალიანება გვქონდეს, ვიდრე სხვა კლუბებს. "მანჩესტერ სიტის" მდგომარეობაც არამყარია. ისეთი დაფინანსება, როგორც კლუბს ახლა აქვს, მომავალში აღარ ექნება, რადგან ეს ეკონომიკური თვალსაზრისით წამგებიანია. მანჩესტერელთა მეპატრონეები გარკვეული წარმატების მიღწევის შემდეგ ბიზნესით დაკავდებიან. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ კლუბებს, რომლებიც წლების განმავლობაში აღწევენ წარმატებას," - თქვა ჰიკსმა ბრიტანელ ჟურნალისტთან საუბრისას.

*საუბარი თემაზე*

# ექსპერტები ექსპერტებს ირჩევენ

**ზურაბ თალაკვაძე**

მაგარი არეული ევროპის ჩემპიონატია. "უილიამ ჰილიდან" დაწყებული, ვერელი ყომარბაზებით დამთავრებული, ვისთვისაც არ უნდა გეკითხა, ევროპის ჩემპიონობისთვის ყველას ესპანეთი და ჰა, ჰა, საფრანგეთი თუ ემეტებოდა, მაგრამ...

1. ესპანეთი თითქოს ძალით, უმოტივაციოდ თამაშობს და პირენეელი გიგანტის სუსტ გამოსვლას ვერც იმით შევარბილებთ, რომ პო გასოლს "ლეიკერსის" საჩემპიონო ფინალისას მოტეხილი მარჯვენა ცერი ჯერაც აწუხებს.

2. გარბახოსა, რეიესი, რუბიო, ნავარო და მარკ გასოლი არასტაბილურობის ეტალონებად იქცნენ, სერჯიო სკარიოლო კი ნაღდად ვერ არის ის მწვრთნელი, ვინც ამ თანავარსკვლავედის სათავეში უნდა იდგეს.

3. ბერძნებმა მაგრად დაიწყეს, მერე კი დადგა რუსეთთან შეხვედრის დროც და ელადელები დადგნენ, ველარც სამიანები ჩააგდეს, ფოცისი ბავშვურ შეცდომებს უშვებდა დაცვაში, სპანულისი პასიურობდა ან პირიქით, ზედმეტად ინდომებდა შეტევაში და, მოკლედ, დაეცა საბერძნეთი.

4. სერბეთმა ესპანეთს პირველივე დღეს მასტერკლასი ჩაუტარა, მერე და მერე კი უკლო თამაშს და მეოთხედფინალშიც ძლივს გავიდა.

5. სლოვენიას ჰყავს, მაგრამ თან არც ჰყავს მატიაშ სმოდიში, საერთოდ არ წაუყვანია პოლონეთში ბენო უდრიჰი და რაშო ნესტეროვიჩი, თუმცა ფავორიტობას არ ივიწყებს და ჯანზეა.

6. რუსეთმა გერმანიასთან 21 (!) საჯარიმო სროლა გააფუჭა, მერე კი ბერძნები, ხორვატები და მაკედონიელები წალეკა.

7. თურქების ზევარსკვლავი ჰედო თურქოღლუ უფრო უშლის ხელს თავისიანებს, ვიდრე სარგებელი მოაქვს, მაგრამ თურქები მაინც სუპერკალათბურთს თამაშობენ.

8. ბევრი ილაპარაკეს მარტინ გორტატისა და მაჩეი ლამპეს პოლონეთზე, მაგრამ სამეოთხედფინალოდ ვერც ამ ძლიერმა, მაღალმა და ჯანიანმა ტანდემმა ივარგა და ვერც იმან გაჭრა, რომ პოლონეთი ჩემპიონატის მასპინძლის პრივილეგიით სარგებლობდა.

ორი ჯგუფური ეტაპის დასრულებას ტრადიციულად, საპლეიოფო ციებ-ცხელება მოსდევს. მეოთხედფინალებში შემდეგი წყვილები მივიღეთ: რუსეთი - სერბეთი, საფრანგეთი - ესპანეთი, სლოვენია - ხორვატია და საბერძნეთი - თურქეთი. არ გაუმართლა საფრანგეთს... თუ ესპანეთს? ნამდვილად ვერ გეტყვით, რადგან დარწმუნებული არ ვარ, რომ ტურნირის ერთადერთი დაუმარცხებელი მონაწილე ანუ ტონი პარკერი და მისი რაზმი პირველად სწორედ პო და მარკ გასოლების გუნდთან არ წააგებენ.

კიდევ ბევრი საინტერესო ფაქტის მოტანა შეგვიძლია, მაგრამ შორს წავალთ და სადღეისო თემას დავცილდებით. ამ არეულობაში, გაუგებრობაში, ბურუსში ორ საკმაოდ საინტერესო რესპონდენტს მივადექით და რაღა ჩვენი, ამ ხალხის პროფესიული მოსაზრება რომ მოგართვათ, უკეთესი იქნება. მოკლედ, პოლონური ქაოსის შესახებ საქართველოს ნაკრების წევრი, სუპერლიგის სამგზის საუკეთესოდ დასახელებული კოტე ტულუში და დამოუკიდებელი ქართული კალათბურთის ყველაზე კოლორიტული ფიგურა ვატო ნაცვლიშვილი საუბრობენ.

**- კოტე, ყველა ტურნირს ჰყავს თავისი აღმოჩენა, მოთამაშე იქნება ეს, ნაკრები თუ მთავარი მწვრთნელი. მეოთხედფინალებამდე ასეთებად ვის მიიჩნევ?**




*ჰედო თურქოღლუ*

**- კოტე ტულუში:** გამაკვირვა რუსეთმა, რომელსაც წინა, საჩემპიონო შემადგენლობიდან არც ერთი ლიდერი არ ჰყავს და მაინც მაგრად თამაშობს. კირილენკოს, ჰოლდენის, ხრიაპას, სავრასენკოს, მორგუნოვის გარეშეც დევიდ ბლატის გუნდი დამაჯერებელ კალათბურთს გვიჩვენებს და გერმანიასთანაც სრულიად შემთხვევით, თავისივე შეცდომებით წააგო. მაგრად ეთამაშა საფრანგეთსაც და, ტონი პარკერი რომ არა, იქნებ ის მატჩიც მოეგო. მოთამაშეებიდან ცენტრ ტიმოფეი მოზგოვს (13.1 ქულა, 5.0 მოხსნა, ავტ.) დავასახელებდი. დამაჯერებლად გამოიყურება და რამდენიმე შეხვედრა, თუნდაც მაკედონიასთან, პირადად მოიგო. თავისთავად, რუსების წარმატებაში უდიდესი როლი შეიტანა მათმა თავკაცმა დევიდ ბლატმაც. ასევე აღმოჩენად იქცა სლოვენიელების უკანახაზელი სამო უდრიხი (6.2 ქულა, ორქულიანების 64 პროცენტი გამოიყენა). მოზგოვის ფონზე უდრიჰი გამოცდილიცაა, ნაკრებშიც დიდი ხანია თამაშობს, მაგრამ წინა ტურნირებზე სხვების ჩრდილში იყო. პოლონეთში კი კარიერაში საუკეთესო ტურნირს ატარებს. ასევე მომწონს სერბების ფორვარდი ველიჩკოვიჩი (10.5 ქულა, 4.8 მოხსნა). 23 წლისაა და ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, სერბების მთავარი მამოძრავებელი ძალაა. სერბეთის ნაკრებიც ტურნირის ერთ-ერთ აღმოჩენად მიმაჩნია.

**- ვატო, დადებითზე კოტემ დაიწყო. შენ ჩემპიონატის იმედგაცრუებებზე გკითხავთ.**

**- ვატო ნაცვლიშვილი:** ყველა საერთაშორისო ტურნირზე, სადაც კი ლიტვაა და ეს ნაკრები სათანადო დონეზე ვერ არის, ჩემთვის იმედგაცრუება სწორედ ეს არის. ლიტვას არ ჰყავს შიშკაუსკასი, იასიკიავიჩუსი, სონგაილა, მაგრამ მაინც ლიტვაა და რამდენიმე ლიდერის არყოფნა ამ ნაკრების ასეთი სუსტი გამოსვლის მიზეზი ვერაა. კლეიზა (8.8 ქულა, სამიანების მხოლოდ 17 პროცენტი გამოიყენა) "დენვერში" ბევრს და კარგად თამაშობს, ევროპაზე კი ნაკრებისთვის სარგებელზე მეტი ზიანი მოაქვს. ესპანელებიც, მათი შემადგენლობიდან, გამოცდილებიდან გამომდინარე, სუსტად გამოიყურებიან, მაგრამ მაინც მეოთხედფინალში გავიდნენ. ვნახოთ, საფრანგეთთან როგორ ითამაშებენ. ჩემი ფავორიტი საფრანგეთია, თუმცა მაგრად გაუჭირდება ესპანეთთან მოგება.




*ტონი პარკერი*

**- ბევრ ნაკრებს არ ჩამოუყვანია ლიდერი. თქვენი აზრით, მათთან ერთად რამდენად მომძლავრდებოდნენ ტურნირის ეს მონაწილეები?**

**- ვ.ნ:** გერმანიას არ ჰყოლია დირკ ნოვიცკი, მაგრამ რომ ჰყოლოდა კიდეც, დიდი-დიდი, მეოთხედფინალში გავიდოდა. ამ ნაკრებს მედლებისთვის ბრძოლის მცირე შანსი ექნებოდა. წინა ტურნირებზე გაცილებით ძლიერი გერმანია იყო. თურქებს არ ჰყავთ "იუტას" ერთ-ერთი ლიდერი ოქური, მაგრამ მის გარეშეც მაგრად თამაშობენ და ძნელი სათქმელია, რამდენად გააძლიერებდა ოქური ნაკრებს. მთელი თამაში მასზე და თურქოღლუზე (9.7 ქულა, თამაშიდან 61-ში მხოლოდ 20 სროლა გამოიყენა) იქნებოდა გადატანილი და სხვების დრო, სათამაშო არეალიც შემცირდებოდა. ბერძნებს არ ჰყავთ პაპალუკასი და დიამანტიდისი, თუმცა მეოთხედფინალში უპრობლემოდ გავიდნენ და იქნებ გაცილებით მეტისთვისაც იბრძოლონ. ლიტვასაც დიდი ძალა დააკლდა, მაგრამ ამ ნაკრებზე ჩემი აზრი უკვე გამოვთქვი. ამ ორი ვარსკვლავის გარეშეც, საბერძნეთს საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა ჰყავს. რუსებზე კოტემ ილაპარაკა და აღარაფერს ვიტყვი, სხვებს კი ვინც უნდა ჰყავდეთ, ისინი ჰყავთ წაყვანილი ჩემპიონატზე.

**- კ.ტ:** ვატოს დავეთანხმები. უბრალოდ, სლოვენიაზეც ვიტყვი - ნაკრები პოლონეთში ბენო უდრიხისა და რაშო ნესტეროვიჩის გარეშე ჩავიდა და მაინც ერთ-ერთი საუკეთესოა. თუმცა იმის თქმაც ძნელია, რომ ამ ორ გამოცდილ მოთამაშესთან ერთად, სლოვენია გაცილებით კარგი, შედეგის მომტანი კალათბურთის დემონსტრირებას მოახერხებდა.

**- ჩემპიონატის დარჩენილ სტადიაზე ვისგან რას უნდა ველოდოთ?**

**- კ.ტ:** ძნელი სათქმელია. ყოველი შეხვედრის მსვლელობისას მგონია, რომ სადაცაა თურქეთი დაკარგავს თავდაჯერებულობას, გააუარესებს თამაშის ხარისხს, მაგრამ, თურქოღლუს არცთუ დამაჯერებელი გამოსვლის მიუხედავად, ნაკრები მაინც არაჩვეულებრივ კალათბურთს თამაშობს. იგივე შემიძლია ვთქვა სლოვენიაზეც. ნახბარი (118 ქულა, 4.8 მოხსნა), ბრეჟეცი (7.2 ქულა, 10 დაფარება), ლაკოვიჩი (15.3 ქულა, 3.5 პასი), ერაზემ ლორბეკი (14.0 ქულა, 6.7 მოხსნა, 3.2 პასი, 1.2 ჩაჭრა), უდრიხი - მაგარი შემადგენლობა ჰყავთ და შესაბამისს კალათბურთსაც თამაშობენ. უბრალოდ, წინა ჩემპიონატებზეც არანაკლებ ძლიერი მოთამაშეები ჰყავდა სლოვენიას და ფინალამდე ერთხელაც ვერ მიაღწია. საინტერესო იქნება ტურნირის ორი ყველაზე ახალგაზრდა მონაწილის, რუსეთისა და სერბეთის დაპირისპირება. სიმართლე გითხრათ, მიჭირს ამ წყვილში ფავორიტის დასახელება. ვინც ნაკლებ შეცდომას დაუშვებს, ნახევარფინალშიც ის გავა. და მთავარი მატჩი, ესპანეთი საფრანგეთის წინააღმდეგ. ესპანელების არადამაჯერებელი გამოსვლის მიუხედავად, მაინც გასოლის ნაკრები გამყავს ნახევარფინალში. ვნახოთ, გამართლდება თუ არა ჩემი პროგნოზი. როგორც ვთქვი, ძალიან ბევრს ველი თურქეთისგან. საუკეთესო კონდიციებშია ამ ნაკრების 23 წლის ცენტრი აშიქი (11.8 ქულა, 5.5 მოხსნა), რომლის დასახელება ტურნირის აღმოჩენებში გამომრჩა.

**- ვ.ნ:** ჩემი ფავორიტი საფრანგეთია. გუნდი, რომელშიც არის პარკერი (18.0 ქულა, 4.3 მოხსნა, 3.7 პასი, 2.2 ჩაჭრა, 22 გამოყენებული საჯარიმო სროლა), ყველგან, ყოველთვის და ნებისმიერი მეტოქის წინააღმდეგ ანგარიშგასაწევი ძალაა. ტონის გარდა, საფრანგეთს ჰყავს ამერიკაში მოთამაშე რამდენიმე გამოცდილი წევრი, რომლებიც თითქმის იდეალურ გუნდურ კალათბურთს აჩვენებენ. კოტესგან განსხვავებით, საფრანგეთისა და ესპანეთის მეოთხედფინალში ფრანგებს ვანიჭებ უპირატესობას. ეს ნაკრები არა მარტო ამ კონკრეტული შეხვედრის, არამედ მთლიანად ჩემპიონატის უმთავრეს ფავორიტად მიმაჩნია. სლოვენიაც ჯანზეა, რუსები კი არა მგონია, სერბებს გასცდნენ. ბერძნებს თურქეთზე გაცილებით ძლიერი ინდივიდუალისტები ჰყავთ. სათადარიგოებში კი ისეთი მოთამაშეები უზით, ბევრი ნაკრები ძირითადში რომ ინატრებდა.

**- და ბოლოს, დაასახელეთ საპრიზო სამეულის თქვენი ვერსია და მოთამაშე, რომელიც ტურნირის უძვირფასესად დასახელების მთავარი ფავორიტი იქნება.**

**- ვ.ნ:** როგორც გითხარით, ჩემპიონობის მთავარი ფავორიტი ჩემთვის საფრანგეთია. ასე რომ, პირველ ადგილზე საფრანგეთი გამყავს, მეორეზე კი... მაინც საბერძნეთი. მესამე ადგილზე გასვლის შანსი ყველა დანარჩენ გუნდს აქვს. მინდა და მჯერა, რომ ბრინჯაოს მედლებს სერბები მოიგებენ. საუკეთესო მოთამაშე? მაინც პარკერი. ტონი მართლაც საუკეთესოა.

**- კ.ტ:** ვატოსგან განსხვავებით, ჩემპიონობის ფავორიტად თურქეთი მიმაჩნია. სწრაფი, შეკრული შემადგენლობა ჰყავთ და სათამაშო დისციპლინითაც აშკარად გამორჩეული გუნდია. გამოცდილი და ტიტულოვანი მთავარი მწვრთნელი ჰყავთ, ბოგდან ტანიევიჩი. მოკლედ, ძალიან მომწონს თურქეთი და, იმედი მაქვს, ჩემი პროგნოზი გამართლდება. ფინალში თურქები რუსეთის ნაკრებს მოუგებენ. უძვირფასესი მოთამაშე კი გახდება ჰედო თურქოღლუ, რომელიც საპლეიოფო მატჩებს ჯგუფურისაზე გაცილებით მაღალ დონეზე ჩაატარებს.

# ტოჩინოშინმა მოგება დაიწყო

ტოკიოში მიმდინარე სუმოისტთა სეზონის ბოლოსწინა სუპერტურნირზე, როგორც იქნა, ახალგაზრდა ქართველმა რიკიში ტოჩინოშინმაც მოიგო.

ლევან გორგაძე სექტემბრის ბაშოზე პირველი მაეგაშირას რანგით ასპარეზობს და ტურნირის პირველი ოთხი დღის განმავლობაში ის ორ იოკოძუნას და ორ ოძეკს დაუპირისპირდა. ტოჩინოშინმა ოთხივე შეხვედრა წააგო. გუშინ, ტურნირის მეხუთე დღეს, ტოჩინოშინს არანაკლებ ტიტულოვანი და ძლიერი მეტოქე ჰყავდა. ქართველი "მზიურ ცხენად" წოდებულ ოძეკ ჰარუმაფუჯის შეხვდა და დოჰიოდან იორიტაოშის ილეთით გადააგდო. ჰარუმაფუჯის ამ სეზონში იმპერატორის თასიც კი აქვს მოგებული. ამ გამარჯვებით ტოჩინოშინმა აქტივში პირველი მოგება ჩაიწერა და პირველი ნაბიჯი გადადგა იქითკენ, რომ სექტემბრის ბაშო დადებითი ბალანსით დაასრულოს, რაც რეიტინგში წინსვლის საშუალებას მისცემს. საქმე ის არის, რომ ქართველი ყველა რთულ მეტოქეს უკვე შეხვდა და ახლა შედარებით სუსტებთან მოუწევს ჭიდილი.

რაც შეეხება კოკაის, რომელსაც გუშინდლამდე ოთხიდან სამი ბრძოლა ჰქონდა მოგებული, მან დასავლეთის მეცხრე მაეგაშირა ტოიჩიბიკისთან ვერაფერი გააწყო. ხუთი დღის შემდეგ ქართველის ბალანსზე სამი გამარჯვება და ორი მარცხია. გუშინ მორიგი გამარჯვებები იზეიმეს ბაშოს ფავორიტებმა - ასოშორიუ და ჰაკუჰო ისევ დაუმარცხებლად ასპარეზობენ.



ტოჩინოშინმა "მზიურ ცხენად" წოდებული ჰარუმაფუჯი დოჰიოდან იორიტაოშით გაიდევნა.

